

თავი XXIII. საზოგადოებრივი მეცნიერებები - წლიური პროგრამები კლასების მიხედვით  
 მუხლი 87. საზოგადოებრივი მეცნიერებების წლიური პროგრამები  
**„მე და საზოგადოება“**

ეროვნული სასწავლო გეგმის საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი პროგრამის წინამდებარე ნაწილში მოცემულია მე-3 და მე-4 კლასების წლიური პროგრამები საგნისთვის – „მე და საზოგადოება“. მათი მიზანია, პრაქტიკული რეკომენდაციები მისცეს პედაგოგს სასწავლო თემების სწავლებისას სტანდარტის შედეგების დამუშავებასა და მათ მიღწევაში.

წლიური პროგრამები სქემების სახითაა წარმოდგენილი (იხ. სქემა 1). თითოეული სქემა თითო სასწავლო თემს შეესატყვისება.

მე-3 კლასის სასწავლო თემებია:

- 1) ჩემი ოჯახი;
- 2) სასკოლო გარემო, მეგობრები და თანატოლები;
- 3) გარემო, რომელშიც ვცხოვრობ.

მე-4 კლასის სასწავლო თემებია:

- 1) სად და როგორ ვიღებ განათლებას,
- 2) მედია და ინფორმაცია;
- 3) მე და ჩემი ქვეყანა.

სქემა 1.

1	სტანდარტის შედეგები	სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები
2		შეკითხვები:
3		ცნებები:
3	რეკომენდაციები:	
4	საკლასო აქტივობების მაგალითები:	
5	დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:	

N1. პირველ გრაფაში წარმოდგენილია „მე და საზოგადოების“ სტანდარტის შედეგები, რომლებიც რვა ჯგუფად არის განაწილებული; კერძოდ, გაერთიანებული სახითაა წარმოდგენილი მე-7, მე-8, მე-9,

მე-11, მე-13 შედეგები, მე-14, მე-16, მე-15, მე-17 შედეგებს კი ინდივიდუალური გრაფები ეძღვნება. წლიურ პროგრამაში (თუკი მე-4 კლასის თემებში წარმოდგენილ ცალკეულ გამონაკლისებს არ მივიღებთ მხედველობაში) ვერ შეხვდებით გრაფებს 1, 2, 3, 5, 6, 10 და 12 შედეგებისთვის, რადგან ამ შედეგებს გამჭოლი ხასიათი აქვს. შესაბამისად, ისინი ყველა გრაფაში მოიაზრება.

წლიურ პროგრამაში ექვსივე თემასთან მიმართებით ნაჩვენებია, თუ როგორ უნდა დამუშავდეს ეს შედეგები.

- N2. მეორე გრაფაში მოცემულია სასწავლო თემის (მაგალითად, სად და როგორ ვიღებ განათლებას) სტანდარტის კონკრეტულ შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები. ისინი არ წარმოადგენენ შეკითხვებს, რომლებიც პედაგოგმა მოსწავლეებს უნდა დაუსვას. საგაკვეთილო პროცესი ამ კითხვებზე პასუხების მიღების პროვოცირებას უნდა ემსახურებოდეს. გრაფაში მოცემული კონკრეტული შეკითხვების პროვოცირება რამდენიმე გაკვეთილის მიზნად მოიაზრება.
- N3. სქემის ამ ნაწილში მოცემულია საკვანძო ცნებები, რომელთა დამუშავებასაც სტანდარტის კონკრეტული შედეგების დასაძლევად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.
- N4. გრაფაში ნაჩვენებია ისეთი საკლასო აქტივობების მაგალითები, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს სტანდარტის კონკრეტული შედეგების მიღწევას.
- N5. გრაფაში ნაჩვენებია საშინაო დავალებების მაგალითები, რომელთა განხორციელება მოსწავლეს დაეხმარება სტანდარტის კონკრეტული შედეგების დაძლევაში.

### III კლასი

თემა: ჩემი ოჯახი

1. სტანდარტის შედეგები (ეკონომიკური უნარები)	სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები
<p><b>საზ. მეც. დაწყ. (I). 7.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს სხვადასხვა პროფესიის/ოჯახური საქმიანობის მნიშვნელობისა და საჭიროების გაცნობიერება;</p> <p><b>საზ. მეც. დაწყ. (I). 8.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს ასაკის შესატყვისი სამომხმარებლო და ეკონომიკური უნარ-ჩვევების გამოვლენა.</p>	<p><b>შეკითხვები:</b>  რა პასუხისმგებლობები მაქვს ჩემი ოჯახის წინაშე?  რატომ და როგორ უნდა დავაფასოთ ოჯახის ყველა წევრის (დედის, მამის, ბაბუის და ბებუის) შრომა?  რატომ და როგორ უნდა მოვიხმართ რესურსები (მაგ.: წყალი, ელექტროენერჯია) გონივრულად (ეკონომიურად) ოჯახში?</p> <p><b>ცნებები:</b>  ოჯახი, ჩემი საკუთრება, ოჯახის საკუთრება, დაზოგვა, პროფესია.</p>
<b>რეკომენდაციები</b>	
<i>საკლასო აქტივობების მაგალითები:</i>	

- ანიმაციური ფილმის / ლექსის/ ზღაპრის „ჭრიჭინა და ჭიანჭველა“ განხილვა;
- „ჭრიჭინა და ჭიანჭველა“ დადგმა დრამა-პედაგოგიკის გამოყენებით; შემდეგ კი სპექტაკლის მთავარი პერსონაჟების „გამოკითხვა“, რა მიზნები ამოძრავებდათ მათ თითოეული გადაწყვეტილების მიღებისას;
- დისკუსია თემაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანი, შეუცვლელი და ფასდაუდებელია ოჯახის თითოეული წევრის (დედის, მამის, დის, ძმის) შრომა;
- გონებრივი იერიში: რომელი რესურსები უნდა მოვიხმაროთ პასუხისმგებლობით და სიფრთხილით ოჯახში? რატომ?

**დავალებების ნიმუშები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:**

- რომელიმე პროფესიასთან დაკავშირებით მოკლე თხზულების მომზადება;
- თანატოლებს შორის გამოკითხვის ჩატარება სასურველი პროფესიის შესახებ და არჩევანის მიზეზების თაობაზე; შედეგების პრეზენტაცია.

<b>2. სტანდარტის შედეგები (გარემოს დაცვა)</b>	<b>სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები</b>
საზ. მეც. დაწყ. (I). 17. მოსწავლემ უნდა შეძლოს მზრუნველობის გამოვლენა ბუნებრივი გარემოსა და ისტორიული მემკვიდრეობის მიმართ.	<p><b>შეკითხვები:</b> როგორ შეგვიძლია გავალამაზოთ საოჯახო გარემო (სახლი, ეზო)? რას, რატომ და როგორ უნდა გავუფრთხილდეთ ოჯახში (მაგ.: მცენარე, შინაური ცხოველი, სათამაშო, რელიკვია)? რატომ უნდა მოვიხმაროთ რესურსები (წყალი, ელექტროენერგია) გონივრულად (ეკონომიურად) ოჯახში?</p> <p><b>ცნებები:</b> ოჯახი, მემკვიდრეობა, პასუხისმგებლობა, ზრუნვა, მონაწილეობა, გარემოს დაცვა.</p>

**რეკომენდაციები**

**საკლასო აქტივობები:**

- დისკუსია: რით განსხვავდება ოჯახში კარგად მოვლილი და ზრუნვას მოკლებული ცხოველი (მაგ. ძაღლი, თუთიყუში), მცენარე, ფრინველი ან სათამაშო;
- ნაწყვეტების განხილვა ანიმაციური ფილმიდან „ფიფქია და შვიდი ჯუჯა“ იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ ზრუნავს მულტფილმის მთავარი პერსონაჟი საოჯახო გარემოზე.

**დავალებების ნიმუშები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:**

- პრეზენტაციების მომზადება თემაზე: „გადაწყვეტიტე, ვიზრუნო საოჯახო გარემოზე“;
- თხზულების მომზადება, როგორ გვეხმარებიან ოთახის მცენარეები ჯანსაღი საოჯახო გარემოს შექმნაში.

<b>3. სტანდარტის შედეგები (ჯანსაღი ცხოვრების წესი)</b>	<b>სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები</b>
საზ. მეც. დაწყ. (I). 4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვა (პირადი ჰიგიენა, ჯანსაღი კვება, სპორტული აქტივობები).	<p><b>შეკითხვები:</b> რატომ და როგორ უნდა დავიცვათ ოჯახში საერთო და პირადი ჰიგიენა? როგორ დავიცვა ჯანსაღი ცხოვრების წესი? რა მნიშვნელობა აქვს ჯანსაღ კვებას?</p> <p><b>ცნებები:</b> ოჯახი, ზრუნვა, ჯანსაღი კვება, ჰიგიენა, სპორტი/ვარჯიში</p>

<b>რეკომენდაციები</b>	
<p><b>საკლასო აქტივობების მაგალითები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• <i>ჯანსაღი და არაჯანსაღი საკვები პროდუქტების სურათების კლასიფიცირება ნიშნით: მისაღები, მიუღებელი, არასასურველი;</i></li> <li>• <i>გონებრივი იერიში თემაზე: როგორ ამოვიცნოთ ვადაგასული პროდუქტი;</i></li> <li>• <i>დისკუსია თემაზე: რატომ არ ყიდულობენ მშობლები არაჯანსაღ პროდუქტს: მაგ., ე.წ. ჩიპსებს, გაზიან სასმელებს, T დიაგრამაზე ბავშვების სურვილების/მშობლების არგუმენტების გამოსახვა;</i></li> <li>• <i>კონკურსის ჩატარება: ვინ მეტ რჩევას მისცემს უმცროს და-მშებს ჯანსაღი ცხოვრების წესთან დაკავშირებით (პირადი ჰიგიენის დაცვა, ჯანსაღი კვება, სახლის დალაგება, პირადი ნივთების მოვლა, ფიზიკური აქტივობები).</i></li> </ul>	
<p><b>დავალებების ნიმუშები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• <i>„კვების პირამიდის“ აწყობა ბუკებში (სადაც ჯანსაღი პროდუქტები ძირშია მოთავსებული, არაჯანსაღი კი - წვერზე);</i></li> <li>• <i>წესების შედგენა: „როდის უნდა დავიბანოთ ხელები?“</i></li> <li>• <i>პლაკატის შექმნა, რომელიც მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს.</i></li> </ul>	
<b>4. სტანდარტის შედეგები (სამოქალაქო უსაფრთხოება)</b>	<b>სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები</b>
<p><b>საზ. მეც. დაწყ. (I). 15.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს საგანგებო (ბუნებრივი კატასტროფების დროს) და ცხოვრებისეულ (მაგ.: ქუჩაში, ტრანსპორტში, ექსკურსიაზე) სიტუაციებში სამოქალაქო უსაფრთხოების წესების დაცვით მოქმედება.</p>	<p><b>შეკითხვები:</b>  რატომ და როგორ უნდა დავიცვა უსაფრთხოების წესები საცხოვრებელ ადგილზე?  რატომ და როგორ უნდა მოვიხმაროთ რესურსები გონივრულად (ეკონომიურად) ოჯახში?  <b>ცნებები:</b>  ოჯახი, უსაფრთხოება, საგანგებო სიტუაციები.</p>
<b>რეკომენდაციები</b>	
<p><b>საკლასო აქტივობები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• <i>ბუკების მეშვეობით ელექტრონული თამაში ოჯახში საგანგებო სიტუაციებთან (მაგ.: მიწისძვრა, წყალდიდობა) დაკავშირებით (იხ. Buki.ge);</i></li> <li>• <i>გამოვითხვა თემაზე: ვის მივმართავ ხანძრის დროს, გაზის გაჟონვისას და რატომ?</i></li> <li>• <i>ვიდეორგოლის განხილვა, რომელიც ოჯახში საგანგებო სიტუაციებში მამშველის ჩართულობაზე მოგვითხრობს.</i></li> </ul>	
<p><b>დავალებების ნიმუშები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• <i>ყოფითი მაგალითის მოფიქრება, თუ როგორ გამოიწვია საოჯახო ტექნიკისა და მოწყობილობის უპასუხისმგებლო გამოყენებამ (მაგ.: უთო, მოშვებული ონკანი, ჩამრთველი) საგანგებო შემთხვევა და როგორ უნდა დავაღწიოთ თავი პრობლემას;</i></li> <li>• <i>კომიქსის შედგენა თემაზე: საგანგებო სიტუაცია ოჯახში – როგორ ვიქცევით ამ დროს;</i></li> <li>• <i>ფლაერის შექმნა, რომელზეც ნაჩვენებია იქნება, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ოჯახში რომელიმე საყოფაცხოვრებო ნივთის არასწორ გამოყენებას (მაგ, ასანთი – ხანძარი; მოშვებული წყლის ან გაზის ონკანი).</i></li> </ul>	

<p><b>5. სტანდარტის შედეგები (უფლებების დაცვა, შემწყნარებლობა)</b></p>	<p><b>სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები</b></p>
<p><b>საზ. მეც. დაწყ. (I). 14.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს ქცევის წესების გათავისება, თანატოლებთან მათი შეთანხმება და დაცვა; შემწყნარებლობის გამოვლენა განსხვავებული კულტურის, ეროვნების, შესაძლებლობების მქონე ადამიანების მიმართ.</p>	<p><b>შეკითხვები:</b> როგორ გამოვხატო პატივისცემა ოჯახის წევრების (დედ-მამის, და-ძმის, ბებია-ბაბუის) მიმართ? რატომ მინდა მოვიქცე კარგად? რა მიზეზი კანახობს ადამიანებს ზნეობრივ საქციელს? (რატომ უნდა ვცე პატივი დედას და მამას, არ მოვიპარო, არ მოვიტყუო, ცილი არ დავწამო და ა.შ.)? როგორ ვინაწილებთ შრომას ოჯახში? რატომ და როგორ უნდა დავაფასოთ ოჯახის ყველა წევრის (დედის, მამის, და-ძმის, ბებია-ბაბუის) შრომა?</p> <p><b>ცნებები:</b> ოჯახი, პასუხისმგებლობა, თანაბარი უფლებები.</p>
<p><b>რეკომენდაციები</b></p>	
<p><b>საკლასო აქტივობების მაგალითები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>გონებრივი იერიში თემაზე: რისი გაკეთება შემიძლია ოჯახში დამოუკიდებლად, როცა უფროსები დროებით შინ არ არიან (როგორ ვინაწილებთ მე და ჩემი და/მმა საქმეებზე პასუხისმგებლობებს)?</li> <li>ოჯახის აგარაკზე გამგზავრების სამზადისის გათამაშება და განხილვა გოგონების და ბიჭების ჯგუფების მიერ.</li> </ul>	
<p><b>დავალებების ნიმუშები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>თემატური ნახატის შექმნა თემაზე – როგორ გამოვხატავთ პატივისცემას ოჯახის წევრების მიმართ.</li> </ul>	
<p><b>6. სტანდარტის შედეგები (ბავშვთა უფლებები)</b></p>	<p><b>სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები</b></p>
<p><b>საზ. მეც. დაწყ. (I). 13.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს ბავშვის უფლებებისა და მოვალებების, ასევე ოჯახისა და საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის გაცნობიერება;</p> <p><b>საზ. მეც. დაწყ. (I). 14.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს ქცევის წესების გათავისება, თანატოლებთან მათი შეთანხმება და დაცვა; შემწყნარებლობის გამოვლენა განსხვავებული კულტურის, ეროვნების, შესაძლებლობების მქონე ადამიანების მიმართ.</p>	<p><b>შეკითხვები:</b> რატომ მამლევენ ჩემი ოჯახის უფროსი წევრები რჩევებს/შენიშვნებს? რა პასუხისმგებლობები მაქვს ჩემი ოჯახის წინაშე?</p> <p><b>ცნებები:</b> ოჯახი, საერთო წესები, შემწყნარებლობა, ანგარიშის გაწევა.</p>
<p><b>რეკომენდაციები</b></p>	
<p><b>საკლასო აქტივობების მაგალითები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>ნაწყვეტის განხილვა ფილმიდან „სხვისი შვილები“ – ბოთლების ჩაბარებასთან დაკავშირებული ეპიზოდი;</li> <li>როლური თამაში, რომელშიც ერთი მოსწავლე მშობლის როლს მოირგებს, მეორე – შვილისას: მშობლისა და შვილის არგუმენტები, როცა მშობელი ვერ ან არ ყიდულობს სასურველ ნივთს (მოსმენა, გაზიარება, ანგარიშის გაწევა).</li> </ul>	

**დავალებების ნიმუშები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:**

- ანდაზებისა და გამონათქვამების მოგროვება, რომლებიც მშობლების პატივისცემისკენ მოგვიწოდებენ;
- თავისუფალი თემის დაწერა: როგორ ვმონაწილეობ ჩემი ოჯახის ცხოვრებაში - ჩემი უფლებები და მოვალეობები ოჯახის წევრებთან ურთიერთობისას.

თემა: სასკოლო გარემო, მეგობრები და თანატოლები

<p><b>1. სტანდარტის შედეგები (ისტორიისა და დროის აღქმის უნარები)</b></p>	<p>სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები</p>
<p><b>საზ. მეც. დაწყ. (I). 9.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს ცხოვრებისეული სიტუაციების დროსთან დაკავშირება და ტერმინების – წარსულის, აწმყოს, მომავლის – ადეკვატურად გამოყენება;</p> <p><b>საზ. მეც. დაწყ. (I). 11.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს ლეგენდებისა და მითების, კულტურულ-ისტორიული ძეგლების, მნიშვნელოვანი მოვლენების, ისტორიული და თანამედროვე პიროვნებების ლოკალურ გარემოსთან დაკავშირება.</p>	<p><b>შეკითხვები:</b> რატომ და როგორ განსხვავდება ჩემი სკოლა იმ სკოლისგან, რომელიც ჩვენმა მშობლებმა, ბებია-ბაბუებმა დაამთავრეს?</p> <p><b>ცნებები:</b> სკოლა, მოსწავლე, წარსული, აწმყო, მომავალი.</p>
<p><b>რეკომენდაციები</b></p>	
<p><b>საკლასო აქტივობების მაგალითები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• გონებრივი იერიში: რა განსხვავებაა ძველ და თანამედროვე სკოლას შორის (მაგ.: ძველად - სასკოლო ფორმების სავალდებულოდ ტარება, განსხვავებული მერხები და სკამები, ამჟამად - ბუკების არსებობა და ინტერნეტის ხელმისაწვდომობა);</li> <li>• მოსწავლეების ჯგუფებად დაყოფა და პრეზენტაციების მომზადება: როგორი მინდა იყოს ჩემი სკოლა და რას შევცვლიდი მომავალში.</li> </ul>	
<p><b>დავალებების ნიმუშები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ინფორმაციის მოძიება და თხზულების დაწერა თემაზე: ჩემი სკოლის ისტორია;</li> <li>• თხზულების დაწერა: მე რომ სკოლას დავამთავრებ.</li> </ul>	
<p><b>2. სტანდარტის შედეგები (ეკონომიკური უნარები)</b></p>	<p>სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები</p>
<p><b>საზ. მეც. დაწყ. (I). 7.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს სხვადასხვა პროფესიისა და საქმიანობის მნიშვნელობისა და საჭიროების გაცნობიერება;</p> <p><b>საზ. მეც. დაწყ. (I). 8.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს ასაკის შესატყვისი სამომხმარებლო და ეკონომიკური უნარ-ჩვევების გამოვლენა.</p>	<p><b>შეკითხვები:</b> როგორ ზრუნავენ სკოლაში მომუშავე სხვადასხვა პროფესიის ადამიანები სკოლაზე? როგორ გამომადგება სწავლა მომავალში (მაგ.: მომავალი პროფესიისთვის, რომელზეც ვოცნებობ?)</p> <p><b>ცნებები:</b></p>

	სკოლა, მოსწავლე, საკუთარი, საზოგადო, სწავლა / შრომა, დაზოგვა, პროფესია.
<b>რეკომენდაციები</b>	
<p><b>საკლასო აქტივობების მაგალითები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სასკოლო პროფესიებთან დაკავშირებული დაშიფრული სიტყვების გამოცნობა;</li> <li>• კონკურსის ჩატარება ჯგუფებს შორის: ვინ მეტ პროფესიას იცნობს;</li> <li>• გონებრივი იერიში თემაზე: რომელია საზოგადო მოხმარების სივრცეები სკოლაში, როგორია მათი დანიშნულება და ვინ ზრუნავს მათზე (მაგ.: ბიბლიოთეკა, ბუფეტი, სამედიცინო კაბინეტი, დარბაზი).</li> </ul>	
<p><b>დავალებების ნიმუშები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• გამოკითხვის ჩატარება თემაზე: როგორ და რატომ აირჩიეს სკოლაში მომუშავე სხვადასხვა პროფესიის ადამიანებმა თავიანთი პროფესიები;</li> <li>• თხზულების დაწერა თემაზე: ჩემი საოცნებო პროფესია, როგორ დამეხმარება სწავლა მომავალი პროფესიისთვის?</li> <li>• ნახატის მომზადება თემაზე: რომელი სასკოლო ნივთების შექმნა გვიწევს სასწავლო წლის დასაწყისში?</li> </ul>	
<b>3. სტანდარტის შედეგები (კონფლიქტის მართვა)</b>	<b>სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები</b>
<p><b>საზ. მეც. დაწყ. (I). 16.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს კონფლიქტურ სიტუაციებში პრობლემის გადაჭრის მშვიდობიანი გზების მოძებნა.</p>	<p><b>შეკითხვები:</b> როგორ ავირიდოთ ან გადავჭრათ თანატოლებთან კონფლიქტი მშვიდობიანად? რატომ არ შეიძლება რელიგიური შეხედულების/რწმენა-წარმოდგენის სახელით ძალადობა?</p> <p><b>ცნებები:</b> სკოლა, მოსწავლე, კონფლიქტი, მეგობარი / თანატოლები, პასუხისმგებლობა, წესები, ძალადობა, ზრუნვა, თანაბარი უფლებები.</p>
<b>რეკომენდაციები</b>	
<p><b>საკლასო აქტივობების მაგალითები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• გონებრივი იერიში თემაზე: რა შეიძლება გახდეს სასკოლო კონფლიქტის მიზეზი და როგორ შეიძლება გადაიჭრას იგი მშვიდობიანად;</li> <li>• დაშიფრული სიტყვების გამოცნობა, რომელიც დაკავშირებულია ძალადობასა (მაგ.: კონფლიქტი, ჩხუბი) და ერთმანეთის პატივისცემასთან (მაგ.: მეგობრობა, შერიგება, თანადგომა, პატიება).</li> </ul>	
<p><b>დავალებების ნიმუშები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კომიქსის დახატვა, რომელიც სკოლაში მომხდარი რაიმე კონფლიქტური სიტუაციის მშვიდობიანად გადაჭრას ასახავს;</li> <li>• დაუსრულებელი ისტორიის გაგრძელება, რომელშიც მოსწავლეებმა თანატოლებს შორის მომხდარი კონფლიქტური სიტუაციიდან გამოსავალი უნდა იპოვონ.</li> </ul>	
<b>4. სტანდარტის შედეგები (გარემოს დაცვა)</b>	<b>სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები</b>

<p><b>საზ. მეც. დაწყ. (I). 17.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს მზრუნველობის გამოვლენა ბუნებრივი გარემოსა და ისტორიული მემკვიდრეობის მიმართ.</p>	<p><b>შეკითხვები:</b> რისი გაკეთება შემიძლია სასკოლო გარემოს გასაუმჯობესებლად ჩემს თანატოლებთან ერთად (მაგ.: სივრცის გალამაზება, გამწვანება, დასუფთავება, ეზოს მოწყობა)?</p> <p><b>ცნებები:</b> სკოლა, მოსწავლე, მოვალეობა, პასუხისმგებლობა, ზრუნვა, მონაწილეობა, გარემოს დაცვა.</p>
---	--

**რეკომენდაციები**

**საკლასო აქტივობების მაგალითები:**

- საველე აქტივობის (მაგ.: დასუფთავება, ყვავილების დარგვა, სახელობითი ხის დარგვა, რომლის მოვლაც მოსწავლეს შემდგომში დაევალება) ჩატარება სკოლის ეზოში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე;
- ვიდეორგოლის განხილვა, რომელშიც სკოლაში განხორციელებული სხვადასხვა აქტივობა არის წარმოდგენილი;
- კომიქსის დახატვა, რომელიც სკოლის მოსწავლეების გარემოსდაცვით აქტივობას წარმოადგენს.

**დავალებების ნიმუშები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:**

- ისეთი ილუსტრაციების/ნახატების მოგროვება და კოლაჟის მომზადება, რომლებიც სასკოლო გარემოს დაბინძურების მავნე შედეგებს ასახავს;
- ფლაერის შექმნა, რომელიც სასკოლო თემის წევრებს სკოლის მიმდებარე გარემოს სისუფთავის დაცვისკენ მოუწოდებს;
- დახატვა ან ქალაქის მაკეტის აწყობა, რომელიც წარმოადგენს, როგორც უნდა იყოს სასკოლო გარემო.

<p><b>5. სტანდარტის შედეგები (ჯანსაღი ცხოვრების წესი)</b></p>	<p><b>სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები</b></p>
---	---

<p><b>საზ. მეც. დაწყ. (I). 4.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვა (პირადი ჰიგიენა, ჯანსაღი კვება, სპორტული აქტივობები).</p>	<p><b>შეკითხვები:</b> როგორ შეიძლება ავირიდოთ დაავადებების გავრცელება სკოლაში, როგორ დავიცვათ პირადი ჰიგიენა და ვიკვებოთ ჯანსაღად?</p> <p><b>ცნებები:</b> სკოლა, მოსწავლე, ზრუნვა, ჯანსაღი ცხოვრების წესი.</p>
---	--

**რეკომენდაციები**

**საკლასო აქტივობების მაგალითები:**

- სტუმრის სახით კლასში ექიმის (სკოლის) მოწვევა, რომელიც მოსწავლეებს გადამდები დაავადებებისგან თავის არიდებაზე ესაუბრება;
- თამაში, რომლის ფარგლებში მოსწავლეები სხვადასხვა დაავადებას (ბოტკინი, წითურა, გრიპი) აღწერენ და ერთმანეთს გამოცნობას სთხოვენ;
- კლასში ქვევის წესების ჩამოწერა, თუ როგორ უნდა დავიცვათ თავი, როცა გრიპის ეპიდემიაა.

**დავალებების ნიმუშები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:**



<ul style="list-style-type: none"> <li>• მოთხრობის/ზღაპრის შექმნა, რომელშიც რომელიმე დაავადებისგან თავის აცილების ისტორია არის აღწერილი;</li> <li>• ჯგუფური პრეზენტაციის მომზადება, რომელიც ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ გვაწვდის ინფორმაციას.</li> </ul>	
<b>6. სტანდარტის შედეგები (სამოქალაქო უსაფრთხოება)</b>	<b>სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები</b>
<p><b>საზ. მეც. დაწყ. (I). 15.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს საგანგებო (ბუნებრივი კატასტროფების დროს) და ცხოვრებისეულ (მაგ.: ქუჩაში, ტრანსპორტში, ექსკურსიაზე) სიტუაციებში სამოქალაქო უსაფრთხოების წესების დაცვით მოქმედება;</p>	<p><b>შეკითხვები:</b> როგორ ვიმოქმედოთ საგანგებო სიტუაციებში? როგორ და რატომ უნდა ვიზრუნოთ უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნაზე?</p> <p><b>ცნებები:</b> სკოლა, მოსწავლე, უსაფრთხოება, საგანგებო სიტუაციები, ევაკუაცია, ხანძარსაწინააღმდეგო დაფა.</p>
<b>რეკომენდაციები</b>	
<p><b>საკლასო აქტივობების მაგალითები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• გონებრივი იერიში თემაზე: უსაფრთხოების რომელი წესები უნდა დავიცვათ სკოლაში?</li> <li>• ელექტრონული თამაში, რომელიც სკოლაში უსაფრთხოების წესების დაცვას გვასწავლის;</li> <li>• ჯგუფური პრეზენტაციები თემაზე: ევაკუაციის წესები (ხანძრის/ მიწისძვრის დროს);</li> </ul>	
<p><b>დავალებების ნიმუშები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• უსაფრთხოების აღმნიშვნელი/გამაფრთხილებელი ნიშნების მოძიება და მათი პრეზენტაცია;</li> <li>• საგანგებო სიტუაციასთან დაკავშირებული საკვანძო სიტყვების გამოყენებით თემის დაწერა;</li> <li>• პლაკატის შექმნა, რომელიც უსაფრთხოების დაცვისკენ მოგვიწოდებს.</li> </ul>	
<b>7. სტანდარტის შედეგები (უფლებების დაცვა, შემწყნარებლობა)</b>	<b>სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები</b>
<p><b>საზ. მეც. დაწყ. (I). 14.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს ქცევის წესების გათავისება, თანატოლებთან მათი შეთანხმება და დაცვა; შემწყნარებლობის გამოვლენა განსხვავებული კულტურის, ეროვნების, შესაძლებლობების მქონე ადამიანების მიმართ.</p>	<p><b>შეკითხვები:</b> რატომ არის მნიშვნელოვანი ქცევის წესების დაცვა სკოლის ყველა მოსწავლისთვის? რატომ და როგორ უნდა ვცეთ პატივი თანაკლასელებს, მასწავლებლებს, სკოლის სხვა პერსონალს? როგორ შეგვიძლია თანატოლების დახმარება სხვადასხვა სიტუაციაში? რატომ არის მნიშვნელოვანი სიკეთის კეთება, თანადგომა?</p>

	<p>რატომ არ შეიძლება რელიგიური შეხედულების/რწმენა-წარმოდგენის სახელით ძალადობა?</p> <p><b>ცნებები:</b> სკოლა, მოსწავლე, მეგობარი/თანატოლები, წესები, მრავალფეროვნება.</p>
<p><b>რეკომენდაციები</b></p>	
<p><b>საკლასო აქტივობების მაგალითები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• გონებრივი იერიში თემაზე: რომელია საერთო წესები სკოლის მოსწავლეებისთვის და რატომ არის მნიშვნელოვანი მათი დაცვა?</li> <li>• ჯგუფური მუშაობით მოვლენების ჯაჭვის აგება – რა ხდება, როცა მოსწავლეები სასკოლო წესებს არღვევენ.</li> <li>• იაკობ გოგებაშვილის მოთხრობის „სიკეთე ბოროტებისთვის“ განხილვა;</li> <li>• საკლასო „კონსტიტუციის“ (კლასში ქცევის წესები) შექმნა.</li> </ul>	
<p><b>დავალეების ნიმუშები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მოთხრობის „სიკეთე ბოროტებისთვის“ გაგრძელების დაწერა;</li> <li>• მეგობრობის წერილის მიწერა თანატოლისთვის, რომელიც განსხვავებული ეთნოსის, კულტურის, რელიგიის წარმომადგენელია.</li> </ul>	
<p><b>8. სტანდარტის შედეგები (ბავშვის უფლებები და მოვალეობები)</b></p>	<p><b>სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები</b></p>
<p><b>საზ. მეც. დაწყ. (I). 13.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს ბავშვის უფლებებისა და მოვალეობების, ასევე ოჯახისა და საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის გაცნობიერება;</p> <p><b>საზ. მეც. დაწყ. (I). 14.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს ქცევის წესების გათავისება, თანატოლებთან მათი შეთანხმება და დაცვა; შემწყნარებლობის გამოვლენა განსხვავებული კულტურის, ეროვნების, შესაძლებლობების მქონე ადამიანების მიმართ.</p>	<p><b>შეკითხვები:</b> რა უფლებები და მოვალეობები მაქვს სკოლაში? რატომ და როგორ უნდა იყოს ყველა ბავშვის უფლებები დაცული სკოლაში? რატომ უნდა იყოს სკოლაში ყველა გოგონასა და ბიჭის განვითარებისთვის თანაბარი შესაძლებლობები და პირობები?</p> <p><b>ცნებები:</b> სკოლა, მოსწავლე, მეგობარი/თანატოლები, წესები, თანაბარი უფლებები.</p>
<p><b>რეკომენდაციები</b></p>	
<p><b>საკლასო აქტივობების მაგალითები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• შემთხვევის განხილვა, რომელიც ბავშვის რომელიმე ფუნდამენტურ უფლებას განიხილავს;</li> <li>• ბავშვთა უფლება-მოვალეობების შესახებ მოკლე ვიდეორგოლების განხილვა (ორგანიზაციის „ადამიანი გაჭირვებაში“ მასალები).</li> <li>• გონებრივი იერიში თემაზე: გოგონებისა და ბიჭების მსგავსი და განსხვავებული თვისებები, თანაბარი უფლებები და შესაძლებლობები.</li> </ul>	
<p><b>დავალეების ნიმუშები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• უფლება-მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებთან დაკავშირებული ფოტოს, ნახატის ან პლაკატის შექმნა;</li> <li>• ჯგუფების მიერ ბავშვის სხვადასხვა ფუნდამენტურ უფლებებთან დაკავშირებით მაგალითების მოფიქრება და პრეზენტაცია/განხილვა.</li> </ul>	

თემა: გარემო, რომელშიც ვცხოვრობ

<p><b>1. სტანდარტის შედეგები (ისტორიისა და დროის აღქმის უნარები)</b></p>	<p><b>სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები</b></p>
<p><b>საზ. მეც. დაწყ. (I). 9.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს ცხოვრებისეული სიტუაციების დროსთან დაკავშირება და ტერმინების – წარსულის, აწმყოს, მომავლის – ადეკვატურად გამოყენება;</p> <p><b>საზ. მეც. დაწყ. (I). 11.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს ლეგენდებისა და მითების, კულტურულ-ისტორიული ძეგლების, მნიშვნელოვანი მოვლენების, ისტორიული და თანამედროვე პიროვნებების ლოკალურ გარემოსთან დაკავშირება.</p>	<p><b>შეკითხვები:</b>  რატომ არის მნიშვნელოვანი ვიცოდე ჩემი სოფლის/ქალაქის ისტორია, ღირსშესანიშნაობა და დღევანდელი მდგომარეობა?  რატომ იქცა ამა თუ იმ დღესასწაულის აღნიშვნა ტრადიციად ჩემს თემში?</p> <p><b>ცნებები:</b>  უბანი/ თემი/ მეზობელი, მისაბადი პიროვნება, ღირსშესანიშნაობა, ტრადიცია, წარსული, აწმყო, მომავალი.</p>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p>	
<p><b>საკლასო აქტივობების მაგალითები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>როლური თამაში, რომელშიც პედაგოგი მოგზაურის როლს მოირგებს, ვიდების როლში მყოფი მოსწავლეები კი ერთმანეთთან დისკუსიას მართავენ იმის შესახებ, თუ მათ თემში რა უნდა გააცნონ „ტურისტს“ და რატომ;</li> <li>ფოტოებზე წარმოდგენილი ობიექტების დაჯგუფება იმის მიხედვით, წარმოადგენენ თუ არა ისინი ღირსშესანიშნაობას (T დიაგრამის მიხედვით).</li> </ul>	
<p><b>დავალებების ნიმუშები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>წინასწარ შემუშავებული კითხვარის საშუალებით საკუთარი თემის შესახებ საინტერესო ისტორიის მოძიება და პრეზენტაცია;</li> <li>თხზულების დაწერა: რას გავაკეთებ მომავალში, რათა საკუთარი სოფელი/ქალაქი ვასახელო.</li> </ul>	
<p><b>2. სტანდარტის შედეგები (ეკონომიკური უნარები)</b></p>	<p><b>სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები</b></p>
<p><b>საზ. მეც. დაწყ. (I). 7.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს სხვადასხვა პროფესიისა და საქმიანობის მნიშვნელობისა და საჭიროების გაცნობიერება;</p> <p><b>საზ. მეც. დაწყ. (I). 8.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს ასაკის შესატყვისი სამომხმარებლო და ეკონომიკური უნარ-ჩვევების გამოვლენა.</p>	<p><b>შეკითხვები:</b>  რატომ გვჭირდება სხვადასხვა პროფესიის ადამიანების ყოფნა ჩვენ ირგვლივ?  რომელი დაწესებულებების არსებობა არის აუცილებელი სოფლის/ქალაქის ცხოვრებაში; მათგან რომელი გვეხმარება უსაფრთხოების დაცვაში?  რატომ ვყიდულობთ სხვადასხვა საქონელსა და მომსახურებას?</p> <p><b>ცნებები:</b>  უბანი / თემი / მეზობელი, დაზოგვა, პროფესია, საქონელი, მომსახურება.</p>
<p><b>რეკომენდაციები</b></p>	
<p><b>საკლასო აქტივობების მაგალითები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>„რომელი ქუდი რომელ პროფესიას შეესატყვისება“ – თამაში, რომელშიც თემისთვის საჭირო პროფესიები (მაგ.: მეხანძრე, პოლიციელი, ექიმი) იქნება განხილული;</li> <li>თემისთვის საჭირო რომელიმე პროფესიის ადამიანის სტუმრად მოწვევა;</li> <li>თხზულების დაწერა: რისი შეძენა გვსურს და რისი შეძენა შეგვიძლია?</li> </ul>	
<p><b>დავალებების ნიმუშები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:</b></p>	

<ul style="list-style-type: none"> <li>გამოფენის მოწყობა – „პროფესიების კოლექცია“ (სადაც თემისთვის საჭირო პროფესიის ადამიანები და მათი საქმიანობა იქნება გამოსახული);</li> <li>საკვანძო სიტყვებით თემის დაწერა: რომ გავიზრდები, მე გავხდები..;</li> <li>საკუთარი თემისთვის აქტუალური სოციალური პრობლემის (მაგ. წყლის შეწყვეტა, დაზიანებული გზის საფარი) შერჩევა და განხილვა, თუ რასთან არის დაკავშირებული მისი მოგვარება (ფინანსური და ადამიანისეული რესურსები).</li> </ul>	
<b>3. სტანდარტის შედეგები (კონფლიქტის მართვა)</b>	<b>სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები</b>
საზ. მეც. დაწყ. (I). 16. მოსწავლემ უნდა შეძლოს კონფლიქტურ სიტუაციებში პრობლემის გადაჭრის მშვიდობიანი გზების მოძებნა.	<p><b>შეკითხვები:</b>  რა გვავრთიანებს და რა საერთო საზრუნავი გვაქვს ჩვენი უბნის მაცხოვრებლებს, როგორ შეიძლება გამოვადგე ჩემს თემს (ინდივიდის დახმარება; საზოგადოებრივი საქმიანობა)?  რატომ არის მნიშვნელოვანი ერთმანეთის პატივისცემა თემში მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის?</p> <p><b>ცნებები:</b>  უბანი / თემი / მეზობელი, კონფლიქტი, პასუხისმგებლობა, ზრუნვა, თანაბარი უფლებები.</p>
<b>რეკომენდაციები</b>	
<p><b>საკლასო აქტივობების მაგალითები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>კომიქსის განხილვა, რომელშიც თემში მომხდარი კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები და მისი მოგვარებაა წარმოდგენილი;</li> <li>რომელიმე ფილმის ჩვენება-განხილვა (მაგ., ორგანიზაციის „ადამიანი გაჭირვებაში“ ფილმი „ჩემი ძმა დრონა“).</li> </ul>	
<p><b>დავალებების ნიმუშები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>დაუსრულებელი ისტორიის (რომლის საწყის ნაწილსაც მასწავლებელი კლასში მოყვება) დასრულება, რომელიც თემის პრობლემის გადაჭრის გზებს უნდა ასახავდეს;</li> <li>ქართული ანიმაციური ფილმის „მტრობა“ ნახვა და პატარა ჩანახატის დაწერა: მოწინააღმდეგე ფრინველები უფრო წინდახედულები რომ ყოფილიყვნენ;</li> </ul>	
<b>4. სტანდარტის შედეგები (გარემოს დაცვა)</b>	<b>სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები</b>
საზ. მეც. დაწყ. (I). 17. მოსწავლემ უნდა შეძლოს მზრუნველობის გამოვლენა ბუნებრივი გარემოსა და ისტორიული მემკვიდრეობის მიმართ.	<p><b>შეკითხვები:</b>  რატომ და როგორ უნდა დავიცვა ჩემი თემის ბუნებრივი და კულტურული გარემო?  რატომ არის მნიშვნელოვანი ვიცოდე ჩემი სოფლის, ქალაქის ისტორია, ღირსშესანიშნაობა და დღევანდელი მდგომარეობა?</p> <p><b>ცნებები:</b>  უბანი / თემი / მეზობელი, ღირსშესანიშნაობა (თემის კონტექსტში), მოხალისეობა, პასუხისმგებლობა, ზრუნვა, მონაწილეობა, გარემოს დაცვა.</p>

<b>რეკომენდაციები:</b>	
<b>საკლასო აქტივობების მაგალითები:</b>	
<ul style="list-style-type: none"> <li>• ფოტოების მოშველიებით (მაგ.: ფოტოებზე წარმოდგენილი იქნება დაზიანებული წარწერები, ამოკაწრული ფრესკები, ჩამოტეხილი კედლები, დაჭუჭყიანებული გარემო ან გაჩეხილი ტყე) ბავშვების პროვოცირება და დისკუსია თემაზე: <i>მე რა შემიძლია გავაკეთო ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად;</i></li> <li>• ბუნებაში გაკვეთილის ჩატარება, რომლის დროსაც მოსწავლეები შეაფასებენ არსებულ მდგომარეობას და ამ გარემოს სრულყოფის საჭიროებებს განსაზღვრავენ (მაგ.: დასუფთავება, გამწვანება)</li> <li>• რომელიმე ფილმის განხილვა (მაგ. ორგანიზაცია „ადამიანი გაჭირვებაში“ ფილმი – „ადამიანი, რომელიც ხეებს რგავდა“).</li> </ul>	
<b>დავალებების ნიმუშები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:</b>	
<ul style="list-style-type: none"> <li>• თხზულების დაწერა ჩემი თემის ბუნებრივი და კულტურული გარემოს დაცვის შესახებ;</li> <li>• გამოკითხვის ჩატარება მშობლებთან/უფროსი ასაკის ადამიანებთან თემაზე: როგორ გამოიყურებოდა ძველად ესა თუ ის ადგილი (მთა, ხეობა, მდინარე, ტბა).</li> </ul>	
<b>5. სტანდარტის შედეგები (ჯანსაღი ცხოვრების წესი)</b>	<b>სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები</b>
საზ. მეც. დაწყ. (I). 4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვა (პირადი ჰიგიენა, ჯანსაღი კვება, სპორტული აქტივობები).	<b>შეკითხვები:</b> რატომ არის საჭირო სპორტული და დასასვენებელი ადგილები ჩემი თემისთვის? <b>ცნებები:</b> უბანი / თემი / მეზობელი, ზრუნვა, ჯანსაღი ცხოვრების წესი
<b>რეკომენდაციები:</b>	
<b>საკლასო აქტივობების მაგალითები:</b>	
<ul style="list-style-type: none"> <li>• დისკუსიის ჩატარება თემაზე: როგორ გავატაროთ თავისუფალი დრო - კომპიუტერთან, წიგნებთან თუ ეზოში;</li> <li>• მოთხრობის განხილვა, რომელშიც გამოჩნდება, თუ როგორ უწყობს ხელს თემში/ეზოში/უბანში არსებული ჯანსაღი გარემო ბავშვებს სოციალიზაციაში;</li> <li>• ბუნებრივ გარემოში გაკვეთილის ჩატარება, რომლის დროსაც მოსწავლეები მათი თაობისთვის უცნობ სხვადასხვა ჯანსაღ თამაშობებს (მაგ.: წრეში ბურთი, რეზინობანა, კლასობანა) ისწავლიან და ითამაშებენ.</li> </ul>	
<b>დავალებების ნიმუშები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:</b>	
<ul style="list-style-type: none"> <li>• თემატური ნახატის დახატვა: როგორ მოვაწყოთ ჩემი ეზო/უბანი ისე, რომ ხელი შემიწყოს ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვაში;</li> <li>• ინტერვიუს საშუალებით თამაშების მოძიება, რომლებსაც ბაბუა-ბებიების თაობა თამაშობდა.</li> </ul>	
<b>6. სტანდარტის შედეგები (სამოქალაქო უსაფრთხოება)</b>	<b>სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები</b>
საზ. მეც. დაწყ. (I). 15. მოსწავლემ უნდა შეძლოს საგანგებო (ბუნებრივი კატასტროფების დროს) და ცხოვრებისეულ (მაგ.: ქუჩაში, ტრანსპორტში, ექსკურსიაზე) სიტუაციებში სამოქალაქო უსაფრთხოების წესების დაცვით მოქმედება;	<b>შეკითხვები:</b> როგორ და რატომ ვიცავ ქუჩაში მოძრაობის წესებს? რომელი დაწესებულებების არსებობა არის აუცილებელი სოფლის / ქალაქის ცხოვრებაში;

	<p>მათგან რომელი გვეხმარება უსაფრთხოების დაცვაში? როგორ ავიცილოთ ბუნებრივი კატასტროფები და როგორ ვიმოქმედოთ საგანგებო სიტუაციებში (ჩემი და სხვების უსაფრთხოება)?</p> <p><b>ცნებები:</b> თემი, უსაფრთხოება, საგანგებო სიტუაციები, საგზაო ნიშნები.</p>
--	--

**რეკომენდაციები:**

- საკლასო აქტივობების მაგალითები:**
- თემში მომხდარი საგანგებო სიტუაციის ამსახველი ვიდეოს განხილვა, სადაც ამა თუ იმ პროფესიის ადამიანი (მაგ., მეხანძრე, მაშველი) პრობლემის გადამჭრელის როლში გამოდის;
  - ბუკებით ელექტრონული თამაში, რომელშიც თემისთვის საშიში საგანგებო სიტუაციაა წარმოდგენილი (იხ. [Buki.ge](http://Buki.ge));
  - კლასის გარეთ „შუქნიშნობანას“ თამაში – „შუქნიშნის“ საშუალებით საგზაო მოძრაობის ინსცენირება.
  - კლასის გარეთ სიმულაციური თამაში – „თემის წევრების“, „მაშველებისა“ და „112-ის თანამშრომლების“ მეშვეობით ხანძრის ლიკვიდაცია.

- დავალებების ნიმუშები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:**
- ნახატის ან ქალაქის მაკეტის შექმნა, რომელზეც სახლიდან სკოლამდე გზაზე მდებარე დაწესებულებები, გზები და საგზაო ნიშნები იქნება გამოსახული;
  - საკონკურსო ზღაპრის შექმნა „შეწუხებულ“ შუქნიშანზე, რომელსაც ერთი ფერი ჩაუქრა და სათანადო გაფრთხილებას ვერ აძლევს მოსახლეობას;
  - პოლიციელის მოწვევა და გასაუბრება მისი საქმიანობის შესახებ (საზოგადოების უსაფრთხოებაზე ზრუნვა).

<p><b>7. სტანდარტის შედეგები (უფლებების დაცვა და შემწყნარებლობა)</b></p>	<p><b>სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები</b></p>
--	---

<p><b>საზ. მეც. დაწყ. (I). 14.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს ქვევის წესების გათავისება, თანატოლებთან მათი შეთანხმება და დაცვა; შემწყნარებლობის გამოვლენა განსხვავებული კულტურის, ეროვნების, შესაძლებლობების მქონე ადამიანების მიმართ.</p>	<p><b>შეკითხვები:</b> რა გვაერთიანებს და რა საერთო საზრუნავი გვაქვს ჩვენი უზნის მაცხოვრებლებს, როგორ შეიძლება გამოვადგე ჩემს თემს (ინდივიდის დახმარება; საზოგადოებრივი საქმიანობა)? რატომ არის მნიშვნელოვანი ერთმანეთის პატივისცემა თემში მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის?</p> <p><b>ცნებები:</b> უბანი / თემი / მეზობელი, მრავალფეროვნება, თანაბარი უფლებები.</p>
---	--

**რეკომენდაციები**

- საკლასო აქტივობების მაგალითები:**
- სტუმრის მოწვევა, რომელიც საქართველოს რომელიმე ქალაქის/უზნის მრავალფეროვნებაზე მოყვება (მაგ., უამბობს, რა სიკეთე მოუტანა ასეთ უბანში/ქალაქში ცხოვრებამ, რა პრობლემები ჰქონდათ, როგორ გადაჭრეს);
  - მხატვრული ფილმიდან „მზე შემოდგომისა“ ნაწყვეტების განხილვა, სადაც თბილისური ეზოს მრავალფეროვნება და ურთიერთთანადგომა ჩანს.

<p><b>დავალებების ნიმუშები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>საკუთარი თემის/უბნის სიმბოლოს შექმნა;</li> <li>საკუთარი თემის წევრების გასაფრთხილებლად ისეთი წერილის დაწერა/პლაკატის შექმნა, რომელშიც თემისთვის აქტუალური რომელიმე სოციალური პრობლემა წარმოჩნდება;</li> <li>თემის დაწერა: რა განასხვავებს და რა აერთიანებს ჩემს თემში მცხოვრებ ადამიანებს, როგორ ვეხმარებით ერთმანეთს.</li> </ul>	
<p><b>8. სტანდარტის შედეგები (ბავშვთა უფლებები და მოვალეობები)</b></p>	<p><b>სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები</b></p>
<p><b>საზ. მეც. დაწყ. (I). 13.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს ბავშვის უფლებებისა და მოვალეობების, ასევე ოჯახისა და საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის გაცნობიერება;</p> <p><b>საზ. მეც. დაწყ. (I). 14.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს ქვევის წესების გათავისება, თანატოლებთან მათი შეთანხმება და დაცვა; შემწყნარებლობის გამოვლენა განსხვავებული კულტურის, ეროვნების, შესაძლებლობების მქონე ადამიანების მიმართ.</p>	<p><b>შეკითხვები:</b> როგორ ვმონაწილეობთ მე და ჩემი თანატოლები თემის ცხოვრებაში? რა გვაერთიანებს და რა საერთო საზრუნავი გვაქვს თემის წევრებს? როგორ შეიძლება გამოვადგე ჩემს თემს (ინდივიდის დახმარება; საზოგადოებრივი საქმიანობა)?</p> <p><b>ცნებები:</b> უბანი / თემი / თანატოლები</p>
<p><b>რეკომენდაციები</b></p>	
<p><b>საკლასო აქტივობების მაგალითები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>მოთხრობის / ანიმაციური ფილმის „თალგამის“ განხილვა;</li> <li>მოსწავლის მიერ საკუთარი თემისთვის აქტუალური ერთი პრობლემის გამოკვეთა (მაგ. ავარიული გზა, შენობა) და ამ მის გადასაჭრელად საჭირო ღონისძიებების დასახვა.</li> </ul>	
<p><b>დავალებების ნიმუშები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>„რეპორტაჟის“ მომზადება თემაზე: ჩვენი ეზოს ამბები;</li> <li>თემის წევრების (მათ შორის, თანატოლების) გამოკითხვა თემაზე: რა არის აქტუალური საკითხები თემისთვის;</li> <li>ისეთი თემატური ნახატის შექმნა, რომელიც თემის ცხოვრებაში თანატოლების (მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების) ჩართულობას განასახიერებს.</li> </ul>	

## IV კლასი

თემა: სად და როგორ ვიღებ განათლებას?

<p><b>1. სტანდარტის შედეგები (ისტორიისა და დროის აღქმის უნარები)</b></p>	<p><b>სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები</b></p>
<p><b>საზ. მეც. დაწყ. (I). 9.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს ცხოვრებისეული სიტუაციების დროსთან დაკავშირება და ტერმინების – წარსულის, აწმყოს, მომავლის – ადეკვატურად გამოყენება;</p> <p><b>საზ. მეც. დაწყ. (I). 11.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს ლეგენდებისა და მითების, კულტურულ-ისტორიული ძეგლების, მნიშვნელოვანი მოვლენების, ისტორიული და თანამედროვე პიროვნებების ლოკალურ გარემოსთან დაკავშირება.</p>	<p><b>შეკითხვები:</b> რა ინფორმაციას გვაწვდის ისტორიული ძეგლები გარემოსა და ჩვენი მხარის შესახებ? რისი სწავლა შეიძლება არასაგაკვეთილო აქტივობების (მაგ. ექსკურსიაზე, მუზეუმში, სპექტაკლზე) შედეგად?</p> <p><b>ცნებები:</b> სწავლა / სწავლება / განათლება, გამოცდილება, წარსული, აწმყო, მომავალი.</p>

<b>რეკომენდაციები</b>	
<p><b>საკლასო აქტივობების მაგალითები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კლასის დამრიგებლისათვის ისეთი წერილის მიწერა ექსკურსიაზე წასვლის თხოვნით, რომელშიც დასაბუთებული იქნება ექსკურსიის აუცილებლობა (რას ისწავლიან მოსწავლეები ამ აქტივობის შედეგად);</li> <li>• ექსკურსიაზე წასვლა მუზეუმში ან რომელიმე ისტორიული ძეგლის სანახავად, რის შემდეგაც მოსწავლეებს დაევალებათ რაიმეს (მაგ.: ძეგლის, ნივთის, ისტორიული პიროვნების, ნახატის) შესახებ ინფორმაციის მოძიება;</li> <li>• თავისუფალი თემის დაწერა, რომელშიც აღწერილი იქნება რომელიმე ძეგლის ისტორია.</li> </ul>	
<p><b>დავალებების ნიმუშები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• თემის დაწერა, რომელშიც გადმოცემული იქნება, თუ რომელი ისტორიული ან ბუნების ძეგლი მოინახულა ან მის შესახებ წაიკითხა მოსწავლემ არდადეგებზე;</li> <li>• რომელიმე ისტორიული ძეგლის სურათების მოძიება ბუკების საშუალებით და მათი პრეზენტაცია.</li> </ul>	
<b>2. სტანდარტის შედეგები (ეკონომიკური უნარები)</b>	<b>სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები</b>
<p><b>საზ. მეც. დაწყ. (I). 7.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს სხვადასხვა პროფესიისა და საქმიანობის მნიშვნელობისა და საჭიროების გაცნობიერება;</p> <p><b>საზ. მეც. დაწყ. (I). 8.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს ასაკის შესატყვისი სამომხმარებლო და ეკონომიკური უნარ-ჩვევების გამოვლენა.</p>	<p><b>შეკითხვები:</b></p> <p>რა მნიშვნელობა აქვს განათლებას ჩემი მომავალი ცხოვრებისთვის?</p> <p>რა შედეგები მოაქვს შრომას და რატომ არის შრომა მიზნის მიღწევის საუკეთესო საშუალება?</p> <p>რა მიზნით და როგორ ვგეგმავთ სხვადასხვა ღონისძიებას?</p> <p><b>ცნებები:</b></p> <p>სწავლა/სწავლება/განათლება, გამოცდილება, ქცევის ნორმები, ჩემი საკუთრება, დაზოგვა, პროფესია, პერსპექტივა/წარმატება.</p>
<b>რეკომენდაციები</b>	
<p><b>საკლასო აქტივობების მაგალითები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• აქტივობა – როლების შეცვლა: ერთ-ერთი მოსწავლე მასწავლებლის როლში გაკვეთილს უტარებს თანაკლასელებს და უხსნის მათ, თუ რა მნიშვნელობა აქვს განათლებას მომავალი ცხოვრებისთვის;</li> <li>• აქტივობა – „ზურგჩანთის მომზადება“ (მოსწავლეები დახატავენ ზურგჩანთას და იმ ნივთებს, რომლებიც საჭიროა ექსკურსიაზე/ლაშქრობაში წასაღებად).</li> </ul>	
<p><b>დავალებების ნიმუშები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სამახსოვრო ბარათის შექმნა, სადაც ნაჩვენები იქნება: რა უნდა ვიცოდეთ / რა უნდა შევძლოთ ჩემი მომავალი პროფესიის დასაუფლებლად;</li> <li>• პროფესიებთან დაკავშირებით მარტივი კროსვორდის შედგენა.</li> </ul>	
<b>3. სტანდარტის შედეგები (კონფლიქტის მართვა)</b>	<b>სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები</b>
<p><b>საზ. მეც. დაწყ. (I). 16.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს კონფლიქტურ სიტუაციებში პრობლემის გადაჭრის მშვიდობიანი გზების მოძებნა.</p>	<p><b>შეკითხვები:</b></p> <p>რატომ არ უნდა მივითვისო სხვისი ნაშრომი (მაგ. თანაკლასელის სასკოლო დავალება)?</p> <p><b>ცნებები:</b></p> <p>სწავლა / სწავლება / განათლება, ქცევის ნორმები, კონფლიქტი, პასუხისმგებლობა, ზრუნვა, თანაბარი უფლებები.</p>



<b>რეკომენდაციები</b>	
<p><b>საკლასო აქტივობების მაგალითები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• დავალების გადაწერასთან დაკავშირებული კურიოზის (ვიდეორგოლის, მხატვრული ფილმის ნაწყვეტის ან ანიმაციური ფილმის) განხილვა - თუ რატომ იქცეოდა ან უნდა მოქცეულიყო თითოეული მხარე ამ შემთხვევაში;</li> <li>• ანიმაციური ფილმის „ველურების“ განხილვა.</li> </ul>	
<p><b>დავალებების ნიმუშები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• დახატვა კომიქსისა, რომელიც დავალების შესრულების პროცესში სხვისი ნაშრომის მითვისების მცდელობას ასახავს;</li> <li>• საკვანძო სიტყვების (მაგ.: გადაწერა, კონფლიქტი, მოგვარება, შერიგება) გამოყენებით თემის დაწერა;</li> <li>• ოჯახის უფროსი წევრების გამოკითხვა თემაზე: იწერდნენ თუ არა სხვის ნაშრომს, როცა სკოლაში სწავლობდნენ და რა შედეგები მოჰყოლია ამას?</li> </ul>	
<b>4. სტანდარტის შედეგები (გარემოს დაცვა)</b>	<b>სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები</b>
<p>საზ. მეც. დაწყ. (I). 17. მოსწავლემ უნდა შეძლოს მზრუნველობის გამოვლენა ბუნებრივი გარემოსა და ისტორიული მემკვიდრეობის მიმართ.</p>	<p><b>შეკითხვები:</b> რა ინფორმაციას გვაწვდის ისტორიული ძეგლები გარემოსა და ჩვენი მხარის შესახებ?</p> <p><b>ცნებები:</b> სწავლა/სწავლება/განათლება, მემკვიდრეობა, ეტიკეტი (ქცევის ნორმები), პასუხისმგებლობა, ზრუნვა, მონაწილეობა, გარემოს დაცვა, ბავშვის უფლება და მოვალეობა.</p>
<b>რეკომენდაციები</b>	
<p><b>საკლასო აქტივობების მაგალითები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სადამოს მოწყობა, რომელიც რომელიმე ისტორიული ან ბუნების ძეგლისადმი (მაგ.: დაცული ტერიტორია, ნაკრძალი) იქნება მიძღვნილი;</li> <li>• „იღბლიანი ზორბლის“ თამაში საქართველოში ყველასათვის კარგად ცნობილ ისტორიულ ძეგლებთან დაკავშირებით. დამარცხებულებს ამ ძეგლების შესახებ ინფორმაციის მოძიება დაევალებათ;</li> <li>• ექსკურსია ბოტანიკურ ბაღში (ნაკრძალში, დაცულ ტერიტორიაზე) ბუნების დაცვის მნიშვნელობის გააზრების მიზნით.</li> </ul>	
<p><b>დავალებების ნიმუშები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პლაკატის/სლოგანის შექმნა რომელიმე ისტორიული ან ბუნების ძეგლის (დაცული ტერიტორია, ნაკრძალი) დაცვის მოწოდებით;</li> <li>• ბუკეტის საშუალებით ინფორმაციის მოძიება „თელავის ჭადარზე“ ან სხვა ემბლემურ ხეებზე.</li> </ul>	
<b>5. სტანდარტის შედეგები (ჯანსაღი ცხოვრების წესი)</b>	<b>სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები</b>
<p>საზ. მეც. დაწყ. (I). 4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვა (პირადი ჰიგიენა, ჯანსაღი კვება, სპორტული აქტივობები).</p>	<p><b>შეკითხვები:</b> რისი სწავლა შეიძლება არასაგაკვეთილო აქტივობების (მაგ., ექსკურსიაზე, მუზეუმში, თეატრში) შედეგად?</p>

	<p>რატომ გვჭირდება სპორტი გოგონებსაც და ბიჭებსაც, დიდებსაც და პატარებსაც?</p> <p><b>ცნებები:</b> სწავლა/სწავლება/განათლება, გამოცდილება, ზრუნვა, ჯანსაღი ცხოვრების წესი.</p>
--	--

**რეკომენდაციები**

**საკლასო აქტივობების მაგალითები:**

- თამაში – „რას წავიღებდი ექსკურსიაზე“, რომლის დროსაც წრეში მსხდომმა მოსწავლეებმა ექსკურსიისთვის საჭირო ის ნივთები უნდა ჩამოთვალონ, რომელთა დასახელებაც მათი სახელის პირველ ასოზე იწყება;
- „ვენის დიაგრამის“ საშუალებით იმის წარმოდგენა, თუ რომელია ბიჭების საყვარელი თამაში და რომელი – გოგონებისა და რას თამაშობენ ისინი ერთად;
- სპორტის პედაგოგთან ერთად ინტეგრირებული გაკვეთილის ჩატარება, რომლის დროსაც მოსწავლეები „მხიარული სტარტების“ თამაშს სპორტულ ვიქტორინას შეუთავსებენ.

**დავალებების ნიმუშები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:**

- არდადეგების შთაბეჭდილებების დაწერა (და, მაგალითად, მათი ჯანსაღი ცხოვრების ჭრილში) განხილვა;
- ექსკურსიის (მუზეუმი / კულტურული ძეგლი / სახელმწიფო დაწესებულება) შემდეგ კითხვარის შევსება – რა ვიცოდი / რა გავიგე / რა მინდა ვიცოდე;
- ბუკების საშუალებით ჯგუფური სპორტული აქტივობების შესახებ ვიდეო-როლების მოძიება. მსჯელობა თემაზე: რისი სწავლა შეიძლება სპორტული აქტივობების შედეგად (ჯგუფური მუშაობა, ლიდერობა, ბიჭებისა და გოგონებისთვის თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების მიცემა).

<b>6. სტანდარტის შედეგები (სამოქალაქო უსაფრთხოება)</b>	<b>სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები</b>
--	--

<p><b>საზ. მეც. დაწყ. (I). 15.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს საგანგებო (ბუნებრივი კატასტროფების დროს) და ცხოვრებისეულ (მაგ.: ქუჩაში, ტრანსპორტში, ექსკურსიაზე) სიტუაციებში სამოქალაქო უსაფრთხოების წესების დაცვით მოქმედება;</p>	<p><b>შეკითხვები:</b> როგორ ვიქცევით უსაფრთხოების წესების დაცვით ექსკურსიაზე (არ ვტოვებთ ცეცხლს, არ ვეხებით უცხო საგნებსა და ცხოველებს)?</p> <p><b>ცნებები:</b> სწავლა / სწავლება / განათლება, გამოცდილება, უსაფრთხოება, საგანგებო სიტუაციები.</p>
--	--

**რეკომენდაციები**

**საკლასო აქტივობების მაგალითები:**

- ექსკურსიაზე უსაფრთხოდ მოქცევის წესების შესახებ პლაკატის შექმნა და მისი კლასში გამოკვრა;
- გაკვეთილის ბუნებრივ გარემოში ჩატარება, სადაც უსაფრთხოების საკითხები სიმულაციების გზით დამუშავდება;
- ბუკებით ელექტრონული თამაში ბუნებრივ გარემოში უსაფრთხოების შესახებ, რომლის შემდეგაც მოსწავლეები დაწერენ, რა ისწავლეს ამ თამაშის შედეგად.

**დავალებების ნიმუშები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:**

- თემატური ნახატების კოლაჟის შედგენა თემაზე: რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ბუნებრივ გარემოში უსაფრთხოების წესების (მაგალითად, ცეცხლის დატოვება) დაუცველობას;
- მასწავლებლის მიერ მოყოლილი დაუსრულებელი ისტორიის დასრულება იმის შესახებ, თუ რა შედეგები მოიტანა ბუნებრივ გარემოში უსაფრთხოების წესების გაუთვალისწინებლობამ.

<b>7. სტანდარტის შედეგები (უფლებების დაცვა, ღირებულებები)</b>	<b>სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები</b>
<p>საზ. მეც. დაწყ. (I). 3. მოსწავლემ უნდა შეძლოს ასაკის შესატყვისი ზნეობრივი კატეგორიების გაცნობიერება და საზოგადოებაში მიღებული ეთიკის ნორმების შესაბამისად მოქმედება;</p> <p>საზ. მეც. დაწყ. (I). 6. მოსწავლემ უნდა შეძლოს საკუთარი საქმიანობის დაგეგმვა და მისი მოსალოდნელი შედეგების გაცნობიერება;</p> <p>საზ. მეც. დაწყ. (I). 10. მოსწავლემ უნდა შეძლოს ღირებულებების (მაგ. ეთიკური ქცევის ნორმების დაცვა, სამართლიანობა, პასუხისმგებლობა, კულტურული მრავალფეროვნების გააზრება და დაფასება) ცხოვრებისეულ სიტუაციებთან დაკავშირება;</p>	<p><b>შეკითხვები:</b>  რატომ არის განათლება ყველა ბავშვის უფლება?  რისთვის ვკითხულობთ წიგნებს?  როგორ და რატომ უნდა ვისარგებლოთ ბიბლიოთეკით?  რა შედეგები მოაქვს შრომას და რატომ არის შრომა მიზნის მიღწევის საუკეთესო საშუალება?  რა განსხვავებაა მიზნის მიღწევის კანონიერ და უკანონო გზებს შორის?  რას ვსწავლობთ და როგორ უნდა ვიქცეოდეთ თეატრში, კინოში, გამოფენასა და მუზეუმში?</p> <p><b>ცნებები:</b>  სწავლა/სწავლება/ განათლება, გამოცდილება, პერსპექტივა/ წარმატება.</p>
<b>რეკომენდაციები</b>	
<p><b>საკლასო აქტივობების მაგალითები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ზღაპრის „ერთი მანეთის შოვნა“ განხილვა;</li> <li>• წაკითხული წიგნის ან მოთხრობის შესახებ შთაბეჭდილებების თანაკლასელებისთვის გაზიარება;</li> <li>• ანიმაციურ ფილმის „ბომბორა სწავლას იწყებს“ განხილვა.</li> <li>• თეატრში, კინოში, გამოფენაზე ან მუზეუმში წასვლის წინ ქცევის წესებზე შეთანხმება და ჩამოყალიბება.</li> </ul> <p><b>დავალებების ნიმუშები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კომიქსის სახით წიგნისა და კომპიუტერის დიალოგის შედგენა;</li> <li>• თავისუფალი თემა: ჩემი სკოლის ბიბლიოთეკა;</li> <li>• იაკობ გოგებაშვილის მოთხრობა „თხა და გიგოს“ განხილვის დაწერა.</li> </ul>	
<b>8. სტანდარტის შედეგები (ბავშვთა უფლებები)</b>	<b>სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები</b>
<p>საზ. მეც. დაწყ. (I). 13. მოსწავლემ უნდა შეძლოს ბავშვის უფლებებისა და მოვალეობების, ასევე ოჯახისა და საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის გაცნობიერება;</p> <p>საზ. მეც. დაწყ. (I). 14. მოსწავლემ უნდა შეძლოს ქცევის წესების გათავისება, თანატოლებთან მათი შეთანხმება და დაცვა; შემწყნარებლობის გამოვლენა განსხვავებული კულტურის, ეროვნების, შესაძლებლობების მქონე ადამიანების მიმართ.</p>	<p><b>შეკითხვები:</b>  რატომ არ შეიძლება ბავშვის შრომის ბოროტად გამოყენება?  რატომ არის განათლება ყველა ბავშვის უფლება?  რისი სწავლა შეიძლება არასაგაკვეთილო აქტივობების (მაგ. ექსკურსიაზე, მუზეუმში, თეატრში) შედეგად?</p> <p><b>ცნებები:</b>  სწავლა /სწავლება/განათლება, ბავშვის უფლება და მოვალეობა, პერსპექტივა/წარმატება.</p>
<b>რეკომენდაციები</b>	
<p><b>საკლასო აქტივობების მაგალითები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ანიმაციური ფილმიდან „პინოქიო“ ნაწყვეტის განხილვა, რომელშიც უსაქმურთა კუნძულზე გადასახლებული ბავშვების თავგადასავალია წარმოდგენილი;</li> <li>• ყოფითი შემთხვევის განხილვა, როცა მათი რომელიმე თანატოლის შრომას არასწორად (მაგ.: მძიმე ფიზიკური შრომა, სათამაშო ან სამეცადინო დროის შეზღუდვა) იყენებენ.</li> </ul>	

**დავალებების ნიმუშები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:**

- მოთხრობის დაწერა იმავე სიუჟეტის (იხ. საკლასო აქტივობა) პერსონაჟთა წინარე თავგადასავლის შესახებ;
- პლაკატის შექმნა, რომელიც ბავშვთა განათლების უფლების დაცვისკენ მოგვიწოდებს;
- ანიმაციურ ფილმის „კონკიას“ ნახვა და განხილვა იმისა, თუ ვინ და როგორ არღვევს კონკიას უფლებებს.

თემა: მედია და ინფორმაცია

<p><b>1. სტანდარტის შედეგები (ისტორიისა და დროის აღქმის უნარები)</b></p>	<p><b>სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები</b></p>
<p><b>საზ. მეც. დაწყ. (I). 9.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს ცხოვრებისეული სიტუაციების დროსთან დაკავშირება და ტერმინების – წარსულის, აწმყო, მომავლის – ადეკვატურად გამოყენება;</p> <p><b>საზ. მეც. დაწყ. (I). 11.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს ლეგენდებისა და მითების, კულტურულ-ისტორიული ძეგლების, მნიშვნელოვანი მოვლენების, ისტორიული და თანამედროვე პიროვნებების ლოკალურ გარემოსთან დაკავშირება.</p>	<p><b>შეკითხვები:</b> როგორ ხდებოდა ინფორმაციის გავრცელება/გადაცემა ძველად და ახლად?</p> <p><b>ცნებები:</b> ჟურნალისტი / ინფორმაციის მომპოვებელი; თანამედროვე ტექნოლოგიები; კომუნიკაცია; სიახლე; ინფორმაციის წყარო; წარსული, აწმყო, მომავალი; სოციალური ქსელი.</p>
<p><b>რეკომენდაციები</b></p>	
<p><b>საკლასო აქტივობები მაგალითები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მასწავლებლის მიერ დაფაზე მტრედის, ბოთლის და ძველად არსებული რომელიმე სხვა საკომუნიკაციო საშუალების დახატვა, ფოტოკოლაჟის გამოფენა მოსწავლეების ჯგუფებად დაყოფა და დავალების მიცემა, თუ როგორ შეიძლებოდა მათი გამოყენება ინფორმაციის გასავრცელებლად;</li> <li>• მასწავლებლის მიერ ვიდეორგლის ჩვენება ან ფოტოკოლაჟის ჩვენება ინფორმაციის გადაცემის საშუალებების განვითარების შესახებ.</li> </ul>	
<p><b>დავალებების ნიმუშები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• თხზულების დაწერა: თანამედროვე ყოფაში ყველაზე ხშირად რომელ საშუალებებს იყენებენ ინფორმაციის გადასაცემად და რატომ?</li> <li>• მოთხრობის დაწერა: როგორ მივაწვდენდი ხმას ადამიანებს, უკაცრიელ კუნძულზე რომ მოვხვედრილიყავი.</li> </ul>	
<p><b>2. სტანდარტის შედეგები (ეკონომიკური უნარები)</b></p>	<p><b>სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები</b></p>
<p><b>საზ. მეც. დაწყ. (I). 7.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს სხვადასხვა პროფესიისა და საქმიანობის მნიშვნელობისა და საჭიროების გაცნობიერება;</p> <p><b>საზ. მეც. დაწყ. (I). 8.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს ასაკის შესატყვისი სამომხმარებლო და ეკონომიკური უნარ-ჩვევების გამოვლენა.</p>	<p><b>შეკითხვები:</b> რა ინფორმაცია შეიძლება მივიღო რეკლამიდან?</p> <p><b>ცნებები:</b> ჟურნალისტი / ინფორმაციის მომპოვებელი; თანამედროვე ტექნოლოგიები; კომუნიკაცია; სიახლე; ინფორმაციის წყარო; ჩემი (საკუთრება), დაზოგვა, პროფესია; რეკლამა, სოციალური ქსელი.</p>

<b>რეკომენდაციები</b>	
<p><b>საკლასო აქტივობების მაგალითები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ბუკების საშუალებით რამდენიმე საინტერესო სარეკლამო რგოლის გაკვეთილზე განხილვა;</li> <li>• კლასში სასწავლო ნივთების რეკლამის ინსცენირება ჯგუფურად;</li> <li>• გამოთქმის განხილვა: „რეკლამა არ სჭირდება“.</li> </ul>	
<p><b>დავალებების ნიმუშები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ჯგუფურად რაიმე რეკლამის მოფიქრება და პრეზენტაცია;</li> <li>• აქტივობის ჩატარება სკოლაში არსებული ობიექტის, მაგ., ბუფეტის რეკლამირებისთვის სკოლის მასშტაბით;</li> <li>• გამოკითხვის ჩატარება თემაზე: რისთვის არის საჭირო რეკლამა? გამოკითხვის შედეგების პრეზენტაცია.</li> </ul>	
<b>3. სტანდარტის შედეგები (კონფლიქტის მართვა)</b>	<b>სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები</b>
<p>საზ. მეც. დაწყ. (I). 16. მოსწავლემ უნდა შეძლოს კონფლიქტურ სიტუაციებში პრობლემის გადაჭრის მშვიდობიანი გზების მოძებნა.</p>	<p><b>შეკითხვები:</b></p> <p>რატომ შეიძლება გახდეს შეუმოწმებელი ინფორმაცია კონფლიქტის მიზეზი?</p> <p>რატომ და როგორ გამოვხატო პატივისცემა სხვა ადამიანების მიმართ მიუხედავად მათი განსხვავებული რელიგიური შეხედულებისა ან ეთნიკური კუთვნილებისა?</p> <p><b>ცნებები:</b></p> <p>ჟურნალისტი / ინფორმაციის მომპოვებელი;</p> <p>თანამედროვე ტექნოლოგიები; კომუნიკაცია; სიახლე;</p> <p>ინფორმაციის წყარო; შეხედულება, კონფლიქტი, პასუხისმგებლობა, ზრუნვა, სოციალური ქსელი.</p>
<b>რეკომენდაციები</b>	
<p><b>საკლასო აქტივობების მაგალითები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• დისკუსია თემაზე – რატომ იჯერებენ ადამიანები ადვილად შეუმოწმებელ ინფორმაციას?</li> <li>• ბუკების საშუალებით გონებრივი იერიში თემაზე: რა არის ჭორი? საკლასო სტენდის შექმნა, სადაც მოსწავლეები მათთვის ცნობილ ჭორებს დაწერენ და მათ ნეგატიურ და პოზიტიურ შედეგებზე ისაუბრებენ.</li> </ul>	
<p><b>დავალებების ნიმუშები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• დასრულება „დაუსრულებელი ისტორიისა“, რომელიც წარმოაჩენს, თუ როგორ გახდა ჭორი კონფლიქტის მიზეზი;</li> <li>• მოკლე ტელესიუჟეტის ან ინტერნეტრგოლის ყურება იმის გასარკვევად, თუ რამდენად შემოწმებულ ინფორმაციას წარმოაჩენენ ისინი.</li> </ul>	
<b>4. სტანდარტის შედეგები (გარემოს დაცვა)</b>	<b>სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები</b>

<p><b>საზ. მეც. დაწყ. (I). 17.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს მზრუნველობის გამოვლენა ბუნებრივი გარემოსა და ისტორიული მემკვიდრეობის მიმართ.</p>	<p><b>შეკითხვები:</b> რაში გვეხმარება სოციალური რეკლამა?</p> <p><b>ცნებები:</b> ჟურნალისტი / ინფორმაციის მომპოვებელი; ტექნოლოგიები; კომუნიკაცია; სიახლე; ინფორმაციის წყარო; სასარგებლო/უსარგებლო ინფორმაცია; სოციალური რეკლამა; მემკვიდრეობა, პასუხისმგებლობა, ზრუნვა, მონაწილეობა, გარემოს დაცვა.</p>
---	--

**რეკომენდაციები**

<p><b>საკლასო აქტივობების მაგალითები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კლასში ორი რეკლამის ინსცენირება, რომელთაგან ერთი რაიმე პროდუქტის ყიდვისკენ მოგვიწოდებს, მეორე კი – გარემოს დაცვისკენ. განხილვა – რა განსხვავებაა მათ შორის;</li> <li>• მუსიკალური კლიპის „ყველაფერი ჩვენ“ (რომელიც გარემოს დასუფთავებაზეა ორიენტირებული) განხილვა;</li> <li>• თავისუფალი თემის დაწერა: რას გრძნობს ბუნება (მაგ.: ხე, მდინარე), როდესაც მას ცუდად ექცევიან;</li> <li>• გარემოს დაცვის წესების ჩამოყალიბება (ჩემი ქალაქისთვის/სოფლისთვის).</li> </ul>
--

<p><b>დავალეების ნიმუშები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• რაიმე იდეის (მაგ.: გარემოს დაცვა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა) შესახებ პლაკატის შექმნა;</li> <li>• ბუნების დაცვის თემაზე გამოფენის მოწყობა, სადაც სურათები სლოგანების თანხლებით იქნება წარმოდგენილი.</li> </ul>
--

<p><b>5. სტანდარტის შედეგები (ჯანსაღი ცხოვრების წესი)</b></p>	<p><b>სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები</b></p>
---	---

<p><b>საზ. მეც. დაწყ. (I). 4.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვა (პირადი ჰიგიენა, ჯანსაღი კვება, სპორტული აქტივობები).</p>	<p><b>შეკითხვები:</b> რა დრო უნდა დავუთმო ჩემი დღის რეჟიმში ტელევიზორსა და ინტერნეტს?</p> <p><b>ცნებები:</b> ჟურნალისტი / ინფორმაციის მომპოვებელი; თანამედროვე ტექნოლოგიები; კომუნიკაცია; სიახლე; ინფორმაციის წყარო; სასარგებლო / უსარგებლო ინფორმაცია; ზრუნვა, ჯანსაღი ცხოვრების წესი.</p>
---	---

**რეკომენდაციები**

<p><b>საკლასო აქტივობების მაგალითები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• დისკუსია თემაზე: ტელევიზორსა და ინტერნეტს ზიანი მეტი მოაქვს თუ სარგებელი?</li> <li>• მოსწავლის იდეალური დღის რეჟიმის შედგენა. თემის დაწერა: „ჩემი ერთი დღე“ და მისი შედარება შედგენილ რეჟიმთან;</li> <li>• „მენტალური რუკის“ შედგენა ბავშვის ინტერესების შესახებ და მასთან ტელევიზიისა და ინტერნეტის შესაძლებლობების დაკავშირება.</li> </ul>
---

**დავალეების ნიმუშები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:**

<ul style="list-style-type: none"> <li>• გამოკითხვის ჩატარება თემაზე: რამდენ დროს ატარებენ უფროსები და ჩემი თაობის წარმომადგენლები ტელევიზორსა და ინტერნეტთან;</li> <li>• მშობლისგან, ბებია/ზაბუისგან ინტერვიუს აღება იმის გასარკვევად, თუ როდის და როგორ გაეცნენ პირველად ინტერნეტსა და ტელევიზორს და როგორ შეიცვალა ამით მათი ცხოვრება;</li> <li>• მოთხოვნის დაწერა ინტერნეტსა და ტელევიზორთან დაკავშირებით.</li> </ul>	
<b>6. სტანდარტის შედეგები (სამოქალაქო უსაფრთხოება)</b>	<b>სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები</b>
<p>საზ. მეც. დაწყ. (I). 15. მოსწავლემ უნდა შეძლოს საგანგებო (ბუნებრივი კატასტროფების დროს) და ცხოვრებისეულ (მაგ.: ქუჩაში, ტრანსპორტში, ექსკურსიაზე) სიტუაციებში სამოქალაქო უსაფრთხოების წესების დაცვით მოქმედება;</p>	<p><b>შეკითხვები:</b> ვის და როგორ უნდა მივმართოთ საფრთხეების შემთხვევაში (პირადი უსაფრთხოება, საზოგადოებრივი პრობლემები)?</p> <p><b>ცნებები:</b> ჟურნალისტი / ინფორმაციის მომპოვებელი; თანამედროვე ტექნოლოგიები; კომუნიკაცია; სიახლე; ინფორმაციის წყარო; ინტერნეტის რისკები; უსაფრთხოება, საგანგებო სიტუაციები.</p>
<b>რეკომენდაციები</b>	
<p><b>საკლასო აქტივობების მაგალითები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საგანგებო სიტუაციებზე მომუშავე რომელიმე საჯარო სტრუქტურაში სტუმრობა;</li> <li>• დისკუსია ცხოვრებისეულ სიტუაციასთან დაკავშირებით, როდესაც საგანგებო სიტუაციების სამსახურში (112) დარეკვით რაიმე შეიცვალა ან შეიძლება შეცვლილიყო;</li> <li>• სტუმრის მოწვევა, რომელიც ასაკის შესაბამისად მოსწავლეებს ესაუბრება ინტერნეტიდან მოსალოდნელ საფრთხეებზე.</li> </ul>	
<p><b>დავალებების ნიმუშები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საგანგებო სიტუაციის შესახებ მოთხოვნის დაწერა საკვანძო სიტყვების გამოყენებით: სამოქალაქო უსაფრთხოება, უსაფრთხოების სამსახურში დარეკვა, მოხალისეობა;</li> <li>• მშობლებისა და თანატოლების გამოკითხვა: რა არ მოსწონთ მათ ტელევიზიაში. პასუხების ერთმანეთთან შედარება;</li> <li>• დისკუსიის მომზადება თემაზე: არიან თუ არა მართლები მშობლები, რომლებიც შვილებს ტელევიზორის ყურებასა და ინტერნეტის გამოყენებას უშლიან.</li> </ul>	
<b>7. სტანდარტის შედეგები (მეწარმეობა)</b>	<b>სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები</b>
<p>საზ. მეც. დაწყ. (I). 6. მოსწავლემ უნდა შეძლოს საკუთარი საქმიანობის დაგეგმვა და მისი მოსალოდნელი შედეგების გაცნობიერება.</p>	<p><b>შეკითხვები:</b> საიდან ვიღებთ და როგორ ვიყენებთ ინფორმაციას?</p> <p><b>ცნებები:</b> ჟურნალისტი / ინფორმაციის მომპოვებელი; თანამედროვე ტექნოლოგიები; კომუნიკაცია; სიახლე; ინფორმაციის წყარო; სასარგებლო / უსარგებლო ინფორმაცია, რეკლამა / სოციალური რეკლამა, სოციალური ქსელი.</p>
<b>რეკომენდაციები</b>	
<p><b>საკლასო აქტივობების მაგალითები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• გონებრივი იერიში თემაზე: საიდან და როგორ ვიღებთ ინფორმაციას? SWOT-ანალიზის საშუალებით მათი სანდოობის განხილვა;</li> </ul>	

<ul style="list-style-type: none"> <li>• „გაფუჭებული ტელეფონის“ თამაშის გზით რაიმე ინფორმაციის გადაცემა და მისი დამახინჯების მიზეზებზე მსჯელობა;</li> <li>• საკლასო ოთახში „საინფორმაციო გამოშვების“ მომზადება, რომელიც სკოლის ყოველდღიურ ამბებს გადმოსცემს. განხილვა იმისა, თუ რამდენად სანდო წყაროებს ეყრდნობოდნენ „გადაცემის“ ავტორები.</li> </ul>	
<p><b>დავალებების ნიმუშები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მარტივი კროსვორდის შედგენა ინფორმაციის წყაროებთან დაკავშირებით;</li> <li>• მშობლების გამოკითხვა: რომელია მათთვის ყველაზე საყვარელი გადაცემა. რას და როგორ იგებენ მისი საშუალებით?</li> <li>• სკოლისთვის აქტუალურ მოვლენებთან დაკავშირებით კვირეული გაზეთის შექმნა.</li> </ul>	
<p><b>8. სტანდარტის შედეგები (ბავშვთა უფლებები)</b></p>	<p><b>სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები</b></p>
<p><b>საზ. მეც. დაწყ. (I). 13.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს ბავშვის უფლებებისა და მოვალეობების, ასევე ოჯახისა და საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის გაცნობიერება;</p> <p><b>საზ. მეც. დაწყ. (I). 14.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს ქცევის წესების გათავისება, თანატოლებთან მათი შეთანხმება და დაცვა; შემწყნარებლობის გამოვლენა განსხვავებული კულტურის, ეროვნების, შესაძლებლობების მქონე ადამიანების მიმართ.</p>	<p><b>შეკითხვები:</b> რა გზით გავუზიაროთ ინფორმაცია თანატოლებს ბავშვთა უფლებების შესახებ? რატომ და როგორ გამოვხატო პატივისცემა სხვა ადამიანების მიმართ მიუხედავად მათი განსხვავებული რელიგიური შეხედულებისა ან ეთნიკური კუთვნილებისა?</p> <p><b>ცნებები:</b> ჟურნალისტი/ინფორმაციის მომპოვებელი; თანამედროვე ტექნოლოგიები; კომუნიკაცია; სიახლე; ინფორმაციის წყარო, სოციალური ქსელი.</p>
<p><b>რეკომენდაციები</b></p>	
<p><b>საკლასო აქტივობების მაგალითები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• რომელიმე მოსწავლის მიერ მასწავლებლის როლის მორგება და კლასელებისთვის იმის ახსნა, თუ რა არის მათი ფუნდამენტური უფლება (მაგალითად, განათლების უფლება);</li> <li>• „გაფუჭებული ტელეფონის“ თამაშით ბავშვთა უფლებების კონვენციის პუნქტების ერთმანეთისთვის გაზიარება;</li> <li>• ტოქშოუს მოწყობა თემაზე – რა საშუალებებით ავუხსნათ ჩვენს თანატოლებს თავიანთი უფლებები და მოვალეობები.</li> </ul>	
<p><b>დავალებების ნიმუშები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პლაკატის შექმნა, რომელიც ბავშვთა უფლებათა კონვენციის რომელიმე პუნქტს განასახიერებს (ბავშვის უფლებები და მოვალეობები);</li> <li>• ინტერნეტის საშუალებით მოძიება სლოგანებისა, რომლებიც ბავშვთა ფუნდამენტური უფლებების დაცვისკენ მოგვიწოდებს;</li> <li>• შექმნა და სკოლაში გავრცელება ფლაერებისა, რომლებიც ბავშვთა უფლებათა კონვენციის სხვადასხვა პუნქტს გამოხატავს.</li> </ul>	

თემა: მე და ჩემი ქვეყანა

<p><b>1. სტანდარტის შედეგები (ისტორიისა და დროის აღქმის უნარები)</b></p>	<p><b>სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები</b></p>
--	---



<p><b>საზ. მეც. დაწყ. (I). 9.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს ცხოვრებისეული სიტუაციების დროსთან დაკავშირება და ტერმინების – წარსულის, აწმყოს, მომავლის – ადეკვატურად გამოყენება;</p> <p><b>საზ. მეც. დაწყ. (I). 11.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს ლეგენდებისა და მითების, კულტურულ-ისტორიული ძეგლების, მნიშვნელოვანი მოვლენების, ისტორიული და თანამედროვე პიროვნებების ლოკალურ გარემოსთან დაკავშირება;</p> <p><b>საზ. მეც. დაწყ. (I). 12.</b> მოსწავლის საცხოვრებელ გარემოში წარმოდგენილი სხვადასხვა სოციოკულტურული ინსტიტუტის ფუნქციების გაცნობიერება (მაგ.: სკოლის, უნივერსიტეტის, სამედიცინო დაწესებულების, მუზეუმის, კინოს, კლუბის, პოლიციის).</p>	<p><b>შეკითხვები:</b> რატომ აღვნიშნავთ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ეროვნულ დღესასწაულებს (მაგ.: დამოუკიდებლობის დღეს, აღდგომას)? რატომ უნდა ვცეთ პატივი ჩემი ქვეყნის დროშასა და გერბს? როგორ ასახავს ცალკეული ნივთები/ძეგლები (მაგ.: სურათი, ციხესიმაგრის ნანგრევები, ტაძარი) ჩემი ქვეყნის ისტორიას? როგორ ვლინდება რელიგიური რწმენა-წარმოდგენები კულტურის ძეგლებსა და ტრადიციებში? რატომ არის საჭირო ქვეყნისთვის საზოგადოებრივი ინსტიტუტები (მაგ.: ოპერა, თეატრი, მუზეუმი, სამედიცინო დაწესებულება, მუნიციპალიტეტი)?</p> <p><b>ცნებები:</b> წეს-ჩვეულება/ტრადიცია; შემწყნარებლობა, პატივისცემა; თაობა/წინაპარი; მემკვიდრეობა; სიმბოლიკა; ქვეყანა.</p>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p>	
<p><b>საკლასო აქტივობების მაგალითები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საკუთარი კლასისთვის დროშისა და გერბის შექმნა (შესაძლებელია ჰიმნის შექმნაც);</li> <li>• დისკუსია თემაზე: რატომ მიაგებენ პატივს სპორტსმენები საკუთარი ქვეყნის ეროვნულ სიმბოლიკას;</li> <li>• გონებრივი იერიში თემაზე: რომელ დღესასწაულებს აღნიშნავენ საქართველოში;</li> <li>• დოკუმენტური ფილმიდან („როგორ იქმნება ლეგენდა“, ან „მუზეუმის გიდის“ რომელიმე სერიის (მაგ. ეთნოგრაფიული მუზეუმის)) ნაწყვეტის ჩვენება და განხილვა.</li> </ul>	
<p><b>დავალებების ნიმუშები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• თემატური ფოტოკოლაჟის წარმოდგენა რომელიმე დღესასწაულთან დაკავშირებულ ტრადიციაზე;</li> <li>• ინტერვიუ უფროსი თაობის წარმომადგენელთან თემაზე: როგორ აღინიშნებოდა სხვადასხვა დღესასწაული (მაგ.: შობა, ახალი წელი) ძველად და რა ტრადიციები ახლდა მას; შედარება თანამედროვე ტრადიციებთან;</li> <li>• ინფორმაციის მოძიება საქართველოს დროშის, გერბის ისტორიისა და შინაარსობრივი დატვირთვის შესახებ;</li> <li>• ოჯახის უფროსი წევრების (ან უფროსი თაობის ადამიანების) გამოკითხვა იმის შესახებ, თუ რომელი ისტორიული პიროვნებები მოღვაწეობდნენ, ან რომელი ისტორიული მოვლენები მომხდარა ჩემს ქალაქში/სოფელში.</li> </ul>	
<p><b>2. სტანდარტის შედეგები (ეკონომიკური უნარები)</b></p>	<p><b>სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები</b></p>
<p><b>საზ. მეც. დაწყ. (I). 7.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს სხვადასხვა პროფესიისა და საქმიანობის მნიშვნელობისა და საჭიროების გაცნობიერება;</p> <p><b>საზ. მეც. დაწყ. (I). 8.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს ასაკის შესატყვისი სამომხმარებლო და ეკონომიკური უნარ-ჩვევების გამოვლენა.</p>	<p><b>შეკითხვები:</b> რატომ უნდა მოვიხმაროთ პასუხისმგებლობით ბუნებრივი რესურსები?</p> <p><b>ცნებები:</b> პატივისცემა; წესი/კანონი; უფლება/მოვალეობები; მოსახლეობა; თაობა/წინაპარი; მემკვიდრეობა, ქვეყანა.</p>
<p><b>რეკომენდაციები</b></p>	
<p><b>საკლასო აქტივობების მაგალითები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• იმიტირებული სასამართლო პროცესი, სადაც რესურსების უპასუხისმგებლოდ გამოყენების შემთხვევა განიხილება;</li> </ul>	

<ul style="list-style-type: none"> <li>• ლექსის „ონკანიდან წყალი მოდის“ განხილვა;</li> <li>• მოსწავლეთა პრაქტიკიდან რომელიმე რესურსის პასუხისმგებლობით გამოყენების სანიმუშო შემთხვევების განხილვა.</li> </ul>	
<p><b>დავალებების ნიმუშები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ჯგუფურად კროსვორდის შედგენა-შეცხება ქვეყნისთვის აუცილებელი რესურსების შესახებ;</li> <li>• ნახატის შექმნა, სადაც გადმოცემული იქნება რომელიმე რესურსის (ზე-ტყე) პასუხისმგებლობით გამოყენების ციკლი;</li> <li>• რომელიმე „დაჩაგრული (უპასუხისმგებლოდ მოხმარებული) რესურსის“ საჩივრის წერილის დაწერა.</li> </ul>	
<p><b>3. სტანდარტის შედეგები (კონფლიქტის მართვა)</b></p>	<p><b>სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები</b></p>
<p><b>საზ. მეც. დაწყ. (I). 14.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს ქცევის წესების გათავისება, თანატოლებთან მათი შეთანხმება და დაცვა; შემწყნარებლობის გამოვლენა განსხვავებული კულტურის, ეროვნების, შესაძლებლობების მქონე ადამიანების მიმართ.</p> <p><b>საზ. მეც. დაწყ. (I). 16.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს კონფლიქტურ სიტუაციებში პრობლემის გადაჭრის მშვიდობიანი გზების მოძებნა.</p>	<p><b>შეკითხვები:</b> რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს წესებისა და კანონების დარღვევას?</p> <p><b>ცნებები:</b> მოსაზრება/შეხედულება; წეს-ჩვეულება / ტრადიცია; შემწყნარებლობა, პატივისცემა; წესი/კანონი; უფლება/ მოვალეობები; მოსახლეობა; თაობა/წინაპარი; მემკვიდრეობა; სიმბოლიკა; ქვეყანა; მართვა.</p>
<p><b>რეკომენდაციები</b></p>	
<p><b>საკლასო აქტივობების მაგალითები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• დისკუსია თემაზე: „რატომ ვემორჩილებით წესებს თამაშის დროს“;</li> <li>• სიმულაცია იმისა, თუ როგორი იქნებოდა გაკვეთილი წესების არარსებობის შემთხვევაში;</li> <li>• ნაწყვეტის განხილვა ფილმიდან „აკაკის აკვანი“, თითების „დილოგის“ ეპიზოდი (განხილვა იმისა, თუ რატომ არის მიუღებელი ნეკა თითის „პასუხი“ (კანონიერისა და უკანონოს ცნებების ასახსნელად));</li> </ul>	
<p><b>დავალებების ნიმუშები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• დახატვა / დაწერა იმისა, თუ რა მდგომარეობა შეიქმნებოდა ქვეყანაში წესების (მაგ.: ქუჩაში მოძრაობის წესების) არარსებობის შემთხვევაში;</li> <li>• ანიმაციური ფილმის „ლურჯი მელია“ განხილვის დაწერა;</li> <li>• მოთხრობის დაწერა, რომელშიც წესების დარღვევა კონფლიქტის საფუძველი ხდება.</li> </ul>	
<p><b>4. სტანდარტის შედეგები (გარემოს დაცვა)</b></p>	<p><b>სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები</b></p>
<p><b>საზ. მეც. დაწყ. (I). 17.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს მზრუნველობის გამოვლენა ბუნებრივი გარემოსა და ისტორიული მემკვიდრეობის მიმართ.</p>	<p><b>შეკითხვები:</b> რატომ უნდა გავუფრთხილდე ჩემი ქვეყნის ბუნებას? რატომ უნდა მიყვარდეს და ვუფრთხილდებოდე ჩემს ქვეყანას?</p> <p><b>ცნებები:</b> მოსაზრება/შეხედულება; პატივისცემა; წესი/კანონი; უფლება/ მოვალეობები; მემკვიდრეობა; სიმბოლიკა; ქვეყანა.</p>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p>	
<p><b>საკლასო აქტივობების მაგალითები:</b></p>	

<ul style="list-style-type: none"> <li>• „მოლოდინების ხის“ აგება იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ ვიცავ ბუნებას და რა შედეგებს ველოდები ამისგან?</li> <li>• პედაგოგის მიერ შერჩეული პლაკატის განხილვა გარემოს დაცვასთან დაკავშირებით;</li> <li>• „როლური თამაში“ - მწვანეთა ორგანიზაციის სხდომა, სადაც მოსწავლეები ორგანიზაციის წევრების როლს მოირგებენ და ქვეყნისთვის აქტუალურ მოვლენებს განიხილავენ.</li> </ul>	
<p><b>დავალებების ნიმუშები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ფოტოკოლაჟის მომზადება გარემოს დაბინძურებისა და მისი შედეგების შესახებ;</li> <li>• ინფორმაციის მოძიება რომელიმე პიროვნებაზე, ან ადამიანების ჯგუფზე, რომლებმაც გარემოს დაცვის კუთხით საინტერესო აქტივობა განახორციელეს;</li> <li>• ლოგოს შექმნა გარემოს დაცვის პროფილის მქონე ორგანიზაციისთვის;</li> <li>• ლექსის/სიმღერის „ტყე შეუნახე შვილებსა“ განხილვა.</li> </ul>	
<p><b>5. სტანდარტის შედეგები (ჯანსაღი ცხოვრების წესი)</b></p>	<p><b>სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები</b></p>
<p>საზ. მეც. დაწყ. (I). 4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვა (პირადი ჰიგიენა, ჯანსაღი კვება, სპორტული აქტივობები).</p>	<p><b>შეკითხვები:</b> რატომ არის მნიშვნელოვანი ქვეყნისთვის ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია?</p> <p><b>ცნებები:</b> წესი/კანონი; უფლება/ მოვალეობები; მოსახლეობა; მემკვიდრეობა; ქვეყანა</p>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p><b>საკლასო აქტივობების მაგალითები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საინფორმაციო გამოშვების სიმულაცია, რომელშიც ჯანსაღი ცხოვრების კუთხით ქვეყანაში არსებული მდგომარეობა იქნება განხილული;</li> <li>• გაკვეთილზე სპორტსმენის მოწვევა; მასთან ჯანსაღი ცხოვრებისა და სპორტის მნიშვნელობაზე გასაუბრება;</li> <li>• აქციის (მაგალითად, სპორტული აქტივობა, მსვლელობა, ღონისძიების გამართვა) ორგანიზება ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციის მიზნით.</li> </ul>	
<p><b>დავალებების ნიმუშები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საინფორმაციო ბუკლეტის შექმნა, რომლის მიზანიც რომელიმე სამიშ ეპიდემიასთან დაკავშირებით მკითხველის ინფორმირება იქნება;</li> <li>• პოსტერის დამზადება ქვეყანაში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მიზნით;</li> <li>• პრეზენტაციის მომზადება რომელიმე სპორტსმენთან დაკავშირებით, რომელმაც საქართველოს გაუთქვა სახელი.</li> </ul>	

### „ჩვენი საქართველო“

ეროვნული სასწავლო გეგმის საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი პროგრამის წინამდებარე ნაწილში მოცემულია V და VI კლასების წლიური პროგრამები საგნისთვის „ჩვენი საქართველო“. ისინი სარეკომენდაციო ხასიათისაა და მიზნად ისახავს კონკრეტული სასწავლო თემების სწავლებისას სტანდარტის შედეგების დამუშავებაში პედაგოგების დახმარებას.

წლიური პროგრამები სქემების სახითაა წარმოდგენილი (იხ. სქემა 1). თითოეული სქემა თითო სასწავლო თემას შეესატყვისება. პროგრამაში წარმოდგენილია სამი სქემა თემებისთვის: „საქართველოს მხარე“, „თბილისი - საქართველოს დედაქალაქი“, „სახელმწიფო - ჩვენი საქართველო“. თემისთვის - „საქართველოს მხარე“ - წარმოდგენილი პროგრამა სანიმუშოა საქართველოს 11 მხარისთვის. V კლასში მოსწავლეები შეისწავლიან საქართველოს რომელიმე ხუთ მხარეს, ხოლო VI კლასში კი ექვს სხვა მხარესთან ერთად შეისწავლიან თემებს: „თბილისი - საქართველოს დედაქალაქი“, „სახელმწიფო - ჩვენი საქართველო“.

სქემა 1.

1	სტანდარტის შედეგები	სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები
2		შეკითხვები:
3		ცნებები:
4	რეკომენდაციები:	
5	საკლასო აქტივობები:	
6	დავალბები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:	
	ემაჯამებელი დავალბები:	

N1 – ამ გრაფაში წარმოდგენილია საგან „ჩვენი საქართველოს“ სტანდარტის შედეგები. ისინი პირობითად საგნობრივადაა (ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება) დაჯგუფებული.

წლიურ პროგრამაში სამ თემასთან („საქართველოს მხარე“, „თბილისი - საქართველოს დედაქალაქი“, „სახელმწიფო - ჩვენი საქართველო“) მიმართებაში ნაჩვენებია, თუ როგორ უნდა მოხდეს ამ შედეგების დამუშავება;

N2 - გრაფაში მოცემულია სასწავლო თემის (მაგალითად, „საქართველოს მხარე“) სტანდარტის კონკრეტულ შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები. ისინი არ წარმოადგენენ შეკითხვებს, რომლებიც პედაგოგმა მოსწავლეებს უნდა დაუსვას. საგაკვეთილო პროცესი მათ პროვოცირებას უნდა ემსახურებოდეს. გრაფაში მოცემული კონკრეტული შეკითხვების პროვოცირება საგან „ჩვენი საქართველოს“ 4-5 ან კიდევ უფრო მეტი გაკვეთილის მიზანს წარმოადგენს;

N3 - სქემის ამ ნაწილში მოცემულია საკვანძო ცნებები, რომელთა დამუშავებასაც სტანდარტის კონკრეტული შედეგების დასაძლევად გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს;

N4 - გრაფაში ნაჩვენებია, თუ რა საკლასო აქტივობების განხორციელებაა რეკომენდებული სტანდარტის კონკრეტული შედეგების მისაღწევად;

N5 - გრაფაში ნაჩვენებია, თუ რა ტიპის საშინაო დავალებების მიცემა არის რეკომენდებული მოსწავლისთვის სტანდარტის კონკრეტული შედეგების მისაღწევად;

N6 - გრაფაში ნაჩვენებია, თუ რა ფორმით შეიძლება შესრულდეს შემაჯამებელი (კომპლექსური) დავალებები კონკრეტული თემის შესწავლის შემდეგ.

### V-VI კლასები

თემა: საქართველოს მხარე

1. სტანდარტის შედეგები (გეოგრაფიული უნარები)	სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები
<p><b>საზ.მეც.დაწყ.(II).3.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს საქართველოს მხარეების ბუნებრივი და სოციალურ-კულტურული მახასიათებლების შესწავლა/ გამოვლენა;</p> <p><b>საზ.მეც.დაწყ.(II).4.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს რუკის ლეგენდაში მოცემული პირობითი ნიშნების საშუალებით რუკაზე დატანილი ინფორმაციის წაკითხვა;</p> <p><b>საზ.მეც.დაწყ.(II).5.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს საქართველოსთვის დამახასიათებელი ბუნებრივი მოვლენების გამომწვევი მიზეზებისა და მათი შედეგების გააზრება; ბუნებრივ მოვლენებზე ადეკვატური რეაგირება და მათგან თავდაცვა;</p> <p><b>საზ.მეც.დაწყ.(II).6.</b> ქვეყნის განვითარებისთვის ვაჭრობის, სხვა ტრადიციული და ამჟამინდელი პროფესიებისა და საქმიანობის მნიშვნელობისა და საჭიროების გააზრება;</p> <p><b>საზ.მეც.დაწყ.(II).9.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს საზოგადოებისთვის აქტუალური პრობლემების/ მოვლენების ამოცნობა და</p>	<p><b>შეკითხვები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• რა ვიცი საქართველოსა და მისი მხარეების შესახებ?</li> <li>• შეიძლება გავიგო საქართველოს ამა თუ იმ მხარის შესახებ რუკაზე დატანილი პირობითი ნიშნების საშუალებით (რესურსი, მეგლი, ბრძოლის ადგილი, ქალაქი, მდინარე, ტბა, მთა, ბარი)?</li> <li>• რატომ არის საქართველოს ამა თუ იმ მხარეში გავრცელებული ესა თუ ის ტრადიციული საქმიანობა და მეურნეობის დარგი?</li> <li>• როგორ იცავენ თავს საქართველოს ამა თუ იმ მხარის მაცხოვრებლები სტიქიური მოვლენებისგან? რა განაპირობებს სტიქიური მოვლენების წარმოქმნას?</li> <li>• რა განაპირობებს დასახლებისა და საცხოვრისის ტიპების თავისებურებებს საქართველოს ამა თუ იმ მხარეში?</li> </ul> <p><b>ცნებები:</b> გეოგრაფია, რუკა/ადგილის გეგმა, საზღვარი; ბუნებრივი რესურსები, დასახლების ტიპები,</p>

საკუთარი ჩართულობით მათ გამოსწორებაზე ზრუნვა; <b>საზ.მეც.დაწყ.(II).11.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს უსაფრთხოების წესების დაცვის მნიშვნელობის გააზრება და საგანგებო და საყოფაცხოვრებო სიტუაციებში შესაბამისად მოქმედება (მაგ.: ქუჩაში მოძრაობისას, ტრანსპორტში ყოფნისას, ექსკურსიაზე, ლაშქრობისას, ბუნებრივი კატასტროფებისას);	საცხოვრისის ტიპები; ლანდშაფტი (ბუნებრივი, ანთროპოგენული); ეკოლოგია/გარემოს დაცვა, რელიეფი, კლიმატი, ბუნებრივი მოვლენები, საგანგებო სიტუაციები, ეროვნული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე; პროფესია, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, ვაჭრობა, ტრანსპორტი და კომუნიკაციები.
---	--

**რეკომენდაციები**

**საკლასო აქტივობების მაგალითები:**

- საქართველოს ამა თუ იმ მხარის რუკის აგება;
- ფოტოების საშუალებით საქართველოს ამა თუ იმ მხარის მთიანი და დაბლობი ადგილების პეიზაჟების პრეზენტაცია და საცხოვრებელი სახლების ტიპებთან მათი დაკავშირება;
- საქართველოს ამა თუ იმ მხარის სხვადასხვა პუნქტში რუკის საშუალებით სიმულაციური მოგზაურობა;
- 

**დავალებების ნიმუშები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:**

- კვლევის ჩატარება/მასალის მოძიება, თუ რა სტიქიური მოვლენები და საგანგებო სიტუაციები აწუხებს საქართველოს ამა თუ იმ მხარის მოსახლეობას და კვლევის შედეგების ელექტრონული პრეზენტაცია;
- ნახატების გამოფენა თემაზე: წყალი ყველაზე ძვირფასი სიმდიდრეა;
- მოთხრობის დაწერა საქართველოს ამა თუ იმ მხარეში მცხოვრები მოსწავლის/თანატოლის შესახებ, რომელშიც აისახება ამ მხარის ყოფა, რესურსები, მეურნეობის დარგები, როგორ მონაწილეობს ჩემი თანატოლი ოჯახის სამეურნეო საქმიანობაში (მაგ., თუშეთზე თხრობისას შეიძლება აღინიშნოს, რომ ეს მთიანი მხარეა, აქ მეურნეობის ისეთი დარგია გავრცელებული, როგორცაა მესაქონლეობა, კერძოდ მეცხვარეობა. ჩემი თანატოლი პაპას ეხმარება დოლის დროს ცხვრის გაკრეჭაში, ხოლო მისი და - ბებიას მატყლის დართვაში და სწავლობს წინდის ქსოვას, რომლითაც ტურისტები ინტერესდებიან).

<b>2. სტანდარტის შედეგები (ისტორიული უნარები)</b>	<b>სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები</b>
<b>საზ.მეც.დაწყ.(II).1.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების ქრონოლოგიურ ჭრილში გააზრება და გადმოცემა. მათი დაკავშირება თანამედროვე სოციალურ-კულტურულ გარემოსთან;	<b>შეკითხვები:</b> <ul style="list-style-type: none"> <li>• რას და როგორ მოგვითხრობს ისტორიის შესახებ საქართველოს ამა თუ იმ მხარეში შემორჩენილი ძეგლები?</li> </ul>

<p><b>საზ.მეც.დაწყ.(II).2.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს ლეგენდებისა და მითების, მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენებისა და პიროვნებების ლოკალურ გარემოსთან დაკავშირება; ქვეყნის განვითარებაში პიროვნების როლის გაცნობიერება.</p> <p><b>საზ.მეც.დაწყ.(II).3.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს საქართველოს მხარეების ბუნებრივი და სოციალურ-კულტურული მახასიათებლების შესწავლა/ გამოვლენა;</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• რომელი მნიშვნელოვანი პიროვნებები, მოვლენები, მითები და ლეგენდები უკავშირდება საქართველოს ამა თუ იმ მხარის ისტორიას?</li> <li>• რა განაპირობებს დასახლებისა და საცხოვრისის ტიპების თავისებურებებს საქართველოს ამა თუ იმ მხარეში?</li> <li>• რატომ განსხვავდება საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე სხვადასხვა ნიშნით (მაგ.: ფოლკლორი, სამზარეულო, ჩაცმულობა, წეს-ჩვეულებები) ერთმანეთისგან?</li> <li>• რატომ ცხოვრობენ საქართველოს ამა თუ იმ მხარეში სხვადასხვა ეთნიკური, კულტურული და რელიგიური ჯგუფის წარმომადგენლები?</li> <li>• ისტორიულად რომელი ცნობილი მოგზაურები უკავშირდება საქართველოს ამა თუ იმ მხარეს?</li> </ul> <p><b>ცნებები:</b>  ისტორია, წყარო, ფაქტი და ინტერპრეტაცია;  საუკუნე, წელთაღრიცხვა; ერი, ეთნიკური ჯგუფი;  ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე.</p>
<p><b>რეკომენდაციები</b></p>	
<p><b>საკლასო აქტივობების მაგალითები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საქართველოს მხარის ისტორიიდან სხვადასხვა ეპიზოდის ქრონოლოგიურ შკალაზე დატანა;</li> <li>• პურის მისაღებად საჭირო პროცესის თანმიმდევრულად წარმოჩენა (მიწის დამუშავებიდან დაწყებული) ცხრილის სახით; ძველი და ახალი (ტექნოლოგიური ძვრების წარმოჩენით) მეთოდების შედარება;</li> <li>• მხარეთმცოდნეობით მუზეუმში / მუზეუმ-ნაკრძალში სტუმრობა და საკუთარი მხარის ეთნოგრაფიული ყოფის შედარება საქართველოს ამა თუ იმ მხარესთან;</li> <li>• დოკუმენტური ფილმის განხილვა „ანანურთან“ / „ბოლნისის სიონი“ (გამომცემელი „სასწავლო სატელევიზიო ცენტრი“).</li> </ul>	
<p><b>დავალებების ნიმუშები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საქართველოს მხარის ისტორიის სხვადასხვა ეპიზოდთან დაკავშირებით ჯგუფური პრეზენტაციების მომზადება;</li> <li>• ნახატის დახატვა, რომელიც საქართველოს ამა თუ იმ მხარის ყოფით თავისებურებებს წარმოაჩენს;</li> <li>• კომიქსის დახატვა საქართველოს ერთ-ერთ მხარესთან დაკავშირებული ისტორიული ეპიზოდის შესახებ;</li> <li>• ფოტოალბომის გაკეთება საქართველოს მხარის უმნიშვნელოვანეს კულტურულ-ისტორიულ ძეგლებზე.</li> </ul>	

3. სტანდარტის შედეგები (სამოქალაქო უნარები)	სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები
<p><b>საზ.მეც.დაწყ.(II).8.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს მისი, როგორც ბავშვის, გარკვეული უფლება-მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების გაცნობიერება; დადგენილი წესებისა და კანონების საფუძველზე თავისი უფლებების რეალიზება და სხვისი უფლებების დაცვა.</p> <p><b>საზ.მეც.დაწყ.(II).9.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს საზოგადოებისთვის აქტუალური პრობლემების/ მოვლენების ამოცნობა და საკუთარი ჩართულობით მათ გამოსწორებაზე ზრუნვა;</p> <p><b>საზ.მეც.დაწყ.(II).7.</b> ინიციატივის გამოვლენა, ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით შედეგზე ორიენტირებული საქმიანობის დაგეგმვა;</p> <p><b>საზ.მეც.დაწყ.(II).10.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს გააცნობიეროს ჯანსაღი ცხოვრების წესის (პირადი ჰიგიენის, ჯანსაღი კვების, ტრადიციული და ამჟამინდელი სპორტული აქტივობების) მნიშვნელობა და მისდიოს მას;</p> <p><b>საზ.მეც.დაწყ.(II).11.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს უსაფრთხოების წესების დაცვის მნიშვნელობის გააზრება და საყოფაცხოვრებო სიტუაციებში შესაბამისად მოქმედება (მაგ.: ქუჩაში მოძრაობისას, ტრანსპორტში ყოფნისას, ექსკურსიაზე, ლაშქრობისას, ბუნებრივი კატასტროფებისას).</p> <p><b>საზ.მეც.დაწყ.(II).12.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს ღირებულებების (დემოკრატიის პრინციპების და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, გარემოს დაცვის, შემწყნარებლობის,) მნიშვნელობის გაცნობიერება ინდივიდისა და საზოგადოების ნორმალური განვითარებისთვის;</p> <p><b>საზ.მეც.დაწყ.(II).15.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს მის გარშემო წარმოდგენილი სოციალურ-კულტურული ინსტიტუტების (მაგ.: სკოლა, საკულტო (რელიგიური)</p>	<p><b>შეკითხვები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>როგორ შეიძლება მივიღოთ მონაწილეობა ამა თუ იმ მხარისთვის აქტუალური პრობლემების (მაგ.: გარემოს დაცვა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, ეკომიგრანტები, დევნილები, განათლების ხელმისაწვდომობა, სახელმწიფო ენის არცოდნა) გადაჭრაში?</li> <li>როგორ შემიძლია დავიცვა მშვიდობიანი გზით დავიცვა ჩემი და ჩემი თანატოლების უფლებები და რა საშუალებები შემიძლია გამოვიყენო საზოგადოებისთვის საზიანო ძალადობრივი ქცევის შესაჩერებლად?</li> <li>რა პრობლემები შეუძლია შეუქმნას ჩემს მხარეს ჩემი და ჩემი თანატოლების მხრიდან უპასუხისმგებლო ქმედებებმა და მოვალეობების იგნორირებამ?</li> <li>რატომ არის მნიშვნელოვანი, რომ გოგონებმაც და ბიჭებმაც დაიცვან ჯანსაღი ცხოვრების წესი და როგორ გვეხმარება საქართველოს ამა თუ იმ მხარეში გავრცელებული ტრადიციული სპორტული სახეობები ჯანსაღი ცხოვრების წესის შენარჩუნებაში?</li> </ul> <p><b>ცნებები:</b> საზოგადოება; პასუხისმგებლობა; ჯანსაღი ცხოვრების წესი;</p>



<p>ნაგებობები, კინო, კლუბი, მუზეუმი, სამედიცინო დაწესებულება, პოლიცია) ფუნქციების გაცნობიერება.</p>	<p>მოხალისეობა, მონაწილეობა, სამოქალაქო უსაფრთხოება; კანონი, კონფლიქტი; ეთნიკური, რელიგიური უმრავლესობა/უმცირესობა, დისკრიმინაცია (ჩაგვრა, ძალადობა); არჩევნები, სიმბოლიკა, ეთნიკური, კულტურული და რელიგიური მრავალფეროვნება, თანასწორობა, კულტურული მემკვიდრეობა; მუზეუმი (სახლმუზეუმი, მხარეთმცოდნეობითი მუზეუმი), ტრადიცია/ინოვაცია, ფოლკლორი, ტრადიციული სპორტული სახეობები, ტრადიციული ყოფითი საქმიანობები.</p>
<p><b>რეკომენდაციები</b></p>	
<p><b>საკლასო აქტივობების მაგალითები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საკლასო დისკუსია თემაზე: უნდა იცოდნენ თუ არა საქართველოს ამა თუ იმ მხარეში მცხოვრებმა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელმა თანატოლებმა ქართული (სახელმწიფო ენა);</li> <li>• „პრობლემების ხის“ გამოყენებით მხარისთვის აქტუალური პრობლემების განხილვა (მაგ. გარემოს დაბინძურება, სასმელი წყლის პრობლემა, რეკრეაციული, დასასვენებელი ან სპორტული მოედნების არარსებობა);</li> <li>• კლასში სოციალური მუშაკის / საჯარო მოხელის / არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის მოწვევა, რომელიც მხარისთვის აქტუალურ სოციალურ პრობლემებზე ისაუბრებს.</li> </ul>	
<p><b>დავალებების ნიმუშები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• შერჩეულ მხარეზე ინფორმაციის მოძიება ინტერნეტით ან უფროსების გამოკითხვის გზით - რა პრობლემები აქვს საქართველოს ამა თუ იმ მხარის მოსახლეობას; შედეგების პრეზენტაცია;</li> <li>• მაკეტების შექმნა საქართველოს ორი მხარის ერთმანეთთან შედარების მიზნით;</li> <li>• საკლასო აქტივობის ფარგლებში რომელიმე საჯარო სტრუქტურაში (მაგ.: საკრებულო, გამგეობა) სტუმრობისა და მათი ფუნქციების გაცნობის შემდეგ შთაბეჭდილებების გაზიარება პრეზენტაციების გზით - როგორ გაიგეს ან როგორ ესახებათ საჯარო სტრუქტურის მოვალეობები.</li> </ul>	
<p><b>შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საქართველოს ამა თუ იმ მხარეში (მაგალითად ქართლის) ექსკურსიის გზით კვლევის ჩატარება (ისტორიულ-გეოგრაფიულ-სოციალურ პრობლემებზე) და მისი შედეგების პრეზენტაცია;</li> <li>• საქართველოს მხარის საპატივცემულოდ რაიმე ღონისძიების გამართვა, რომელშიც ისტორიული და გეოგრაფიული მონაცემები იქნება ასახული; ასევე წარმოჩინდება მიმდინარე სოციალური საკითხები;</li> </ul>	

- საქართველოს მხარის ისტორიიდან რომელიმე ეპიზოდის შესახებ წარმოდგენის დადგმა;
- ეთნოგრაფიულ მუზეუმში სტუმრობა მისი ღირსშესანიშნაობების შესასწავლად;
- საქართველოს მხარის შესახებ საინფორმაციო-სარეკლამო ბუკლეტის შექმნა;
- საქართველოს მხარისთვის აქტუალური მარტივი სამოქალაქო პროექტების (ეკოლოგია, საგანგებო ვითარებები, ჯანსაღი ცხოვრება) განხორციელება.

**თემა:** საქართველოს დედაქალაქი

1. სტანდარტის შედეგები (ისტორიული უნარები)	სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები
<p><b>საზ.მეც.დაწყ.(II).1.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების ქრონოლოგიურ ჭრილში გააზრება და გადმოცემა. მათი დაკავშირება თანამედროვე სოციალურ-კულტურულ გარემოსთან (მაგ.: სახელმწიფო, ისტორიული მემკვიდრეობა);</p> <p><b>საზ.მეც.დაწყ.(II).2.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს ლეგენდებისა და მითების, მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენებისა და პიროვნებების ლოკალურ გარემოსთან დაკავშირება; ქვეყნის განვითარებაში პიროვნების როლის გაცნობიერება.</p> <p><b>საზ.მეც.დაწყ.(II).3.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს საქართველოს მხარეების ბუნებრივი და სოციალურ-კულტურული მახასიათებლების შესწავლა/ გამოვლენა;</p>	<p><b>შეკითხვები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• როგორ იცვლებოდა ქვეყნის დედაქალაქის მდებარეობა დროთა განმავლობაში? როგორ დაარსდა თბილისი? როგორ იქცა იგი საქართველოს დედაქალაქად? როგორი იერსახე ჰქონდა მას ისტორიულ წარსულში?</li> <li>• რას და როგორ მოგვითხრობს შემორჩენილი ძეგლები თბილისის ისტორიაზე (მაგ.: ნარიყალა, მეტეხი)?</li> <li>• როგორ აისახება ომისა და მშვიდობის შედეგები (ისტორიული ნანგრევები, საზღვრების ცვლილება, მოსახლეობის ცვლილება) თბილისის ისტორიასა და ყოფაზე?</li> <li>• როგორ მოგვითხრობს ნახატი ან ფოტო თბილისის ისტორიასა და განვითარებაზე?</li> <li>• რატომ აქვს თბილისის უბნებს სხვადასხვა იერსახე (არქიტექტურა, მოსახლეობის ყოფა)?</li> <li>• როგორ აისახება თბილისის კოლორიტი ხელოვნებასა და მწერლობაში? (მაგ. ფიროსმანი, გრიშაშვილი)</li> </ul> <p><b>ცნებები:</b>  ისტორია, წყარო, ფაქტი და ინტერპრეტაცია;  კალენდარი, საუკუნე, წელთაღრიცხვა;  ერი, ეთნიკური ჯგუფი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე.</p>
<b>რეკომენდაციები:</b>	
<p><b>საკლასო აქტივობების მაგალითები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მუზეუმში სტუმრობა ძველი თბილისისთვის დამახასიათებელი ყოფის (ფოლკლორი, სამზარეულო, ჩაცმულობა, წეს-ჩვეულებები) შესასწავლად;</li> </ul>	

<ul style="list-style-type: none"> <li>• ლიტერატურული ნაწარმოების (მაგალითად, ადაპტირებული ნაწყვეტი იოანე ბატონიშვილის „კალმასობიდან“; იოსებ გრიშაშვილის „ძველი თბილისის ბოჰემა“ განხილვა, რომელიც ძველი თბილისისთვის დამახასიათებელ პროფესიებსა და ყოფაზე მოგვითხრობს. მისი შედარება თანამედროვეობასთან);</li> <li>• ისტორიული წყაროს - „თბილისის აღება დავით აღმაშენებლის მიერ“ - განხილვა, რომელიც ომისა და მშვიდობის შედეგებს, ამავე დროს, თბილისისთვის დამახასიათებელ მრავალფეროვნებას აჩვენებს;</li> <li>• გამოფენის მოწყობა თემაზე: „რელიგიურ-კულტურული მრავალფეროვნება თბილისში“.</li> </ul>	
<p><b>დავალებების ნიმუშები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ინფორმაციის მოძიება, რა სახელი ერქვა ადრე თბილისის ამა თუ იმ ქუჩას/უბანს? როდის და რატომ შეიცვალა მათი დასახელებები?</li> <li>• კონკურსისთვის ფოტოკოლაჟის / ვიდეორგოლის შექმნა თბილისის რომელიმე უბნის შესახებ;</li> <li>• იმ ისტორიული პერსონაჟების შემდგომი თავგადასვლის შესახებ ინფორმაციის მოძიება, რომელთა სახელსაც თბილისის უმთავრესი ისტორიული ნაგებობები უკავშირდება (მაგალითად, დემეტრე თავდადებული - მეტეხის ტაძარი);</li> <li>• ნახატის/ქალაქის მაკეტის შექმნა, რომელიც თავისუფლების მოედანსა და რუსთაველზე მდებარე კულტურულ-პოლიტიკური მნიშვნელობის ცენტრებს წარმოაჩენს.</li> </ul>	
<p><b>2. სტანდარტის შედეგები (გეოგრაფიული უნარები)</b></p>	<p><b>სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები</b></p>
<p><b>საზ.მეც.დაწყ.(II).3.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს საქართველოს მხარეების ბუნებრივი და სოციალურ-კულტურული მახასიათებლების შესწავლა/გამოვლენა;</p> <p><b>საზ.მეც.დაწყ.(II).4.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს რუკის ლეგენდაში მოცემული პირობითი ნიშნების (გეომეტრიული, ფართობლივი და ხაზობრივი ნიშნების) საშუალებით რუკაზე დატანილი ინფორმაციის წაკითხვა;</p> <p><b>საზ.მეც.დაწყ.(II).5.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს საქართველოსთვის დამახასიათებელი ბუნებრივი მოვლენების გამომწვევი მიზეზებისა და მათი შედეგების გააზრება; ბუნებრივ მოვლენებზე ადეკვატური რეაგირება და მათგან თავდაცვა;</p> <p><b>საზ.მეც.დაწყ.(II).11.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს უსაფრთხოების წესების დაცვის მნიშვნელობის გააზრება და საგანგებო და საყოფაცხოვრებო სიტუაციებში შესაბამისად მოქმედება (მაგ.: ქუჩაში</p>	<p><b>შეკითხვები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• როგორ შეიძლება გამოვიყენოთ ქალაქის გეგმაზე ასახული პირობითი ნიშნები თბილისში ორიენტირებისთვის?</li> <li>• როგორ მოგვითხრობს ნახატი ან ფოტო თბილისის ისტორიასა და განვითარებაზე?</li> <li>• რით არის განპირობებული სხვადასხვა საქმიანობისა და პროფესიის მრავალფეროვნება თბილისში?</li> </ul> <p><b>ცნებები:</b>  გეოგრაფია, რუკა/ადგილის გეგმა, საზღვარი, ბუნებრივი რესურსები, დასახლების ტიპები, საცხოვრისის ტიპები, ლანდშაფტი (ბუნებრივი, ანთროპოგენული), ეკოლოგია / გარემოს დაცვა, რელიეფი, კლიმატი; ბუნებრივი</p>

მომდროებისას, ექსკურსიაზე, კატასტროფებისას);	ტრანსპორტში ლაშქრობისას, ბუნებრივი	ყოფნისას, მოვლენები და მათგან თავდაცვა, საგანგებო სიტუაციები; ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე); პროფესია, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, ვაჭრობა; ტრანსპორტი და კომუნიკაციები.
--	------------------------------------	---

**რეკომენდაციები:**

**საკლასო აქტივობების მაგალითები:**

- სიმულაციური მოგზაურობა თბილისში რუკის, ან ადგილის გეგმის გამოყენებით;
- კონტურული და რელიეფური რუკის შექმნა, რომელზეც თბილისი, მისი მიმდებარე მხარეები და მათი დამაკავშირებელი გზები იქნება ასახული;
- SWOT ანალიზით რისკების შეფასება, რეკომენდაციების შემუშავება საფრთხის შემცველ ადგილას შენობა-ნაგებობის აშენებისთვის და „ნებართვის“ სახით მისი შედეგების წარმოდგენა;
- თბილისისთვის დამახასიათებელი ეკოლოგიური პრობლემის იდენტიფიცირება და კლასგარეშე გაკვეთილის სახით სამოხალისეო აქტივობის დაგეგმვა (დასუფთავება, ხეების დარგვა, ნაგვის ურნების დადგმა), რომელიც გარემოს დაცვაზე იქნება ორიენტირებული (ეს აქტივობა თბილისს გარეთ მცხოვრებმა მოსწავლეებმა შეიძლება თავიანთ რეგიონში განახორციელონ).

**დავალებების ნიმუშები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:**

- გამოკითხვის ჩატარება თემაზე: „რა არის თბილისისთვის ყველაზე აქტუალური პრობლემა“ და მისი შედეგების პრეზენტაცია (აქტივობის განსახორციელებლად შესაძლებელია სოფლის/რეგიონის რომელიმე სკოლის დამეგობრება თბილისის ერთ-ერთ სკოლასთან და შემდგომ მოსწავლეებს შორის კონტაქტის დამყარება ინტერნეტის (სკაიპის) საშუალებით ან ტელეფონით);
- დროის ხაზის გამოყენებით ფოტოკოლაჟის გაკეთება თემაზე: „როგორ გამოიყურებოდა თბილისის სხვადასხვა უბანი ძველად და ახლა“;
- მარტივი კვლევის ჩატარება უფროსი ასაკის ადამიანებთან (ბებია-ბაბუებთან, მშობლებთან) და თანატოლებთან თემაზე: „რომელი პროფესია იყო (ძველი თაობისთვის) და არის (ახალი თაობისთვის) ყველაზე მეტად პოპულარული თბილისში (ან რეგიონში)“ და კვლევის შედეგების განხილვა;
- თბილისის ტურისტულ-რეკრეაციულ ადგილებში (მაგ.: პარკებში, სკვერებში) მყოფი ადამიანებისგან ინტერვიუს აღება თემაზე: „რატომ ვსტუმრობ ამ ადგილს?“ და ინტერვიუს შედეგების პრეზენტაცია (ეს აქტივობა თბილისს გარეთ მცხოვრებმა მოსწავლეებმა შეიძლება თავიანთ რეგიონში განახორციელონ).

<b>3. სტანდარტის შედეგები (სამოქალაქო უნარები)</b>	<b>სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები</b>
<b>საზ.მეც.დაწყ.(II).10.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს გააცნობიეროს ჯანსაღი ცხოვრების წესის (პირადი ჰიგიენის, ჯანსაღი კვების, ტრადიციული და ამჟამინდელი	<b>შეკითხვები:</b>

<p>სპორტული აქტივობების) მნიშვნელობა და მისდიოს მას;</p> <p><b>საზ.მეც.დაწყ.(II).12.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს ღირებულებების (დემოკრატიის პრინციპების და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, შემწყნარებლობის, გარემოს დაცვის) მნიშვნელობის გაცნობიერება ინდივიდისა და საზოგადოების ნორმალური განვითარებისთვის;</p> <p><b>საზ.მეც.დაწყ.(II).13.</b> საქართველოს ეთნიკური, კულტურულ-რელიგიური მრავალფეროვნების გააზრება და პოზიტიური დამოკიდებულების გამოვლენა;</p> <p><b>საზ.მეც.დაწყ.(II).14.</b> ბუნებრივი გარემოს, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის გაცნობიერება და მის მიმართ მზრუნველი დამოკიდებულების გამოვლენა.</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• რატომ ცხოვრობენ თბილისში სხვადასხვა ეთნიკური, კულტურული და რელიგიური ჯგუფის წარმომადგენლები?</li> <li>• რატომ წარმოადგენს რუსთაველის გამზირი და თავისუფლების მოედანი თბილისის ცენტრს (კულტურულ-პოლიტიკური მნიშვნელობით)?</li> <li>• როგორ გამოვიყენოთ ეფექტიანად ცხოვრების ჯანსაღი წესისთვის ტურისტულ-რეკრეაციული ზონები?</li> </ul> <p><b>ცნებები:</b></p> <p>საზოგადოება, პასუხისმგებლობა, ჯანსაღი ცხოვრების წესი; მოხალისეობა, მონაწილეობა; სამოქალაქო უსაფრთხოება, კანონი, კონფლიქტი, ეთნიკური, რელიგიური უმრავლესობა/უმცირესობა, დისკრიმინაცია (ჩაგვრა, ძალადობა); არჩევნები, სიმბოლიკა; ეთნიკური, კულტურული და რელიგიური მრავალფეროვნება, თანასწორობა, კულტურული მემკვიდრეობა; მუზეუმი (სახლმუზეუმი, მხარეთმცოდნეობითი მუზეუმი); ტრადიცია/ინოვაცია, ფოლკლორი, დამწერლობა; ტრადიციული სპორტული სახეობები, ტრადიციული ყოფითი საქმიანობები.</p>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p>	
<p><b>საკლასო აქტივობების მაგალითები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• თემატური ექსკურსია რომელიმე სახელმწიფო სტრუქტურაში (მაგ.: საკრებულო, პოლიცია, მერია);</li> <li>• დოკუმენტური ფილმის „ბედნიერების მტრედები“ განხილვა (ორგანიზაცია: „ადამიანი გაჭირვებაში“);</li> <li>• სტუმრის (მაგალითად, უბნის ინსპექტორის, სკოლის ექიმის) მოწვევა, რომელიც მოსწავლეებს ნარკოტიკებისა და თამბაქოს მავნე ზემოქმედების შედეგებზე გაესაუბრება;</li> <li>• საკლასო თოქშოუს მოწყობა თემაზე: „ტოლერანტობა თბილისში“.</li> </ul>	
<p><b>დავალებების ნიმუშები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• დაკვირვება სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე იმის გამოსაკვლევად, თუ რამდენი ადამიანი დაარღვევს მოძრაობის წესებს;</li> <li>• პლაკატის / სლოგანის შექმნა, რომელიც თბილისისთვის აქტუალურ რომელიმე სოციალურ პრობლემას (ნარკომანია, ჩაგვრა) ეხმიანება;</li> <li>• ერთი დღით მანდატურის როლის მორგება და მოსწავლეთა ანტისოციალურ ქცევებზე დაკვირვება. დაკვირვების შედეგების პრეზენტაცია;</li> </ul>	

- საკონკურსოდ მოთხოვნის დაწერა საკვანძო სიტყვების (მაგ.: პრობლემა, თბილისი, მოხალისეობა, მრავალფეროვნება), გამოყენებით, რომლებიც თბილისისთვის აქტუალური რომელიმე პრობლემის სპეციფიკას უჩვენებს.

**შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები:**

- თბილისის საპატივცემულოდ რაიმე ღონისძიების გამართვა, რომელშიც ისტორიის, გეოგრაფიისა და სამოქალაქო განათლებისთვის აქტუალური მასალა აისახება;
- დრამის დადგმა, რომელიც თბილისის ისტორიის რომელიმე მოვლენას ან მისთვის დამახასიათებელ თანამედროვე სოციალურ პრობლემას ეძღვნება;
- მაკეტების საშუალებით თბილისის შედარება საქართველოს რომელიმე ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარესთან;
- თბილისისთვის აქტუალური მარტივი სამოქალაქო პროექტების (ეკოლოგია, საგანგებო ვითარებები, ჯანსაღი ცხოვრება) განხორციელება;
- თბილისში მცხოვრებ თანატოლებთან თანამშრომლობით (სკაიპის, ტელეფონის, ან სხვა საშუალებების გამოყენებით) დედაქალაქის შესახებ საინტერესო ინფორმაციის მოძიება და გადმოცემა;
- თბილისის შესახებ საინფორმაციო-სარეკლამო ბუკლეტის შექმნა;
- ექსკურსია ძველ თბილისში რელიგიურ-კულტურული მრავალფეროვნების შესასწავლად.

**თემა:** სახელმწიფო - ჩვენი საქართველო

1. სტანდარტის შედეგები (ისტორიული უნარები)	სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები
<p><b>საზ.მეც.დაწყ.(II).1.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების ქრონოლოგიურ ჭრილში გააზრება და გადმოცემა. მათი დაკავშირება თანამედროვე სოციალურ-კულტურულ გარემოსთან (მაგ.: სახელმწიფო, ისტორიული მემკვიდრეობა);</p>	<p><b>შეკითხვები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• როდის და როგორ შეიქმნა საქართველოს სახელმწიფო, ქართული დამწერლობა?</li> <li>• როგორ იცვლებოდა ქვეყნის საზღვრები (სამაჩაბლო, აფხაზეთი)?</li> <li>• რატომ არის საქართველოსთვის დამახასიათებელი ეთნიკური, კულტურული და რელიგიური მრავალფეროვნება?</li> <li>• რატომ ახასიათებს საქართველოს მრავალფეროვანი ეთნოგრაფიული ტრადიციები?</li> </ul> <p><b>ცნებები:</b> ისტორია, წყარო, ფაქტი და ინტერპრეტაცია; კალენდარი, საუკუნე, წელთაღრიცხვა; სახელმწიფო, მმართველობის ფორმები, დამწერლობა, ერი, ეთნიკური ჯგუფი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე.</p>
<p><b>საზ.მეც.დაწყ.(II).2.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს ლეგენდებისა და მითების, მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენებისა და პიროვნებების ლოკალურ გარემოსთან დაკავშირება; ქვეყნის განვითარებაში პიროვნების როლის გაცნობიერება.</p>	
<p><b>საზ.მეც.დაწყ.(II).3.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს საქართველოს მხარეების ბუნებრივი და სოციალურ-კულტურული მახასიათებლების შესწავლა/გამოვლენა;</p>	

<b>რეკომენდაციები</b>
<p><b>საკლასო აქტივობები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ჯგუფური მუშაობის გზით პლაკატის შექმნა, რომელიც ქვეყნის მრავალფეროვნებას გაუსვამს ხაზს;</li> <li>• დისკუსია რომელიმე ისტორიული ძეგლის აღდგენის საჭიროებასთან და ფორმებთან დაკავშირებით;</li> <li>• როლური თამაში, რომლითაც ერთიან საქართველოში სავაზიროს დარბაზობის კოსტუმირებული ინსცენირება იქნება წარმოდგენილი (რომელშიც სახელმწიფოს სხვადასხვა მოხელე: მეფე, მეჭურჭლეთუხუცესი, ამირსპასალარი მიიღებენ მონაწილეობას);</li> <li>• როლური თამაში, რომელიც საქართველოს თანამედროვე პარლამენტის/მინისტრთა კაბინეტის სხდომას წარმოადგენს.</li> </ul> <p><b>დავალელები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მსგავსება-განსხვავებების პოვნის მიზნით საქართველოში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების რომელიმე დღესასწაულის შესახებ ინფორმაციის მოძიება და პრეზენტაცია;</li> <li>• ნახატების ან ფოტოების საშუალებით საქართველოსთვის დამახასიათებელი საცხოვრისის ტიპების წარმოჩენა;</li> <li>• გამოკითხვის ჩატარება თანატოლებში: დაასახელეთ სამი, თქვენი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტი, საქართველოს ისტორიიდან. გამოკითხვის შედეგების შეჯგურება და პრეზენტაცია;</li> <li>• რევაზ ინანაშვილის მოთხრობის - „ლოჭინში“ - საფუძველზე შემდგომი ისტორიის დაწერა.</li> </ul>

<b>2. სტანდარტის შედეგები (გეოგრაფიული უნარები)</b>	<b>სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები</b>
<p><b>საზ.მეც.დაწყ.(II).3.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს საქართველოს მხარეების ბუნებრივი და სოციალურ-კულტურული მახასიათებლების შესწავლა/ გამოვლენა;</p> <p><b>საზ.მეც.დაწყ.(II).4.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს რუკის ლეგენდაში მოცემული პირობითი ნიშნების (გეომეტრიული, ფართობლივი და ხაზობრივი ნიშნები) საშუალებით რუკაზე დატანილი ინფორმაციის წაკითხვა;</p> <p><b>საზ.მეც.დაწყ.(II).5.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს საქართველოსთვის დამახასიათებელი ბუნებრივი მოვლენების გამომწვევი მიზეზებისა და მათი შედეგების გააზრება; ბუნებრივ მოვლენებზე ადეკვატური რეაგირება და მათგან თავდაცვა;</p>	<p><b>შეკითხვები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• რა შეიძლება გავიგო საქართველოს შესახებ სხვადასხვა ტიპის რუკაზე დატანილი პირობითი ნიშნების საშუალებით?</li> <li>• რატომ არის ჩემი მოვალეობა ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობისა და გარემოს დაცვა?</li> </ul> <p><b>ცნებები:</b>  გეოგრაფია, რუკა/ადგილის გეგმა, საზღვარი, ბუნებრივი რესურსები, დასახლების ტიპები, საცხოვრისის ტიპები, ლანდშაფტი (ბუნებრივი, ანთროპოგენული), ეკოლოგია / გარემოს დაცვა, რელიეფი, კლიმატი,</p>

<p><b>საზ.მეც.დაწყ.(II).11.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს უსაფრთხოების წესების დაცვის მნიშვნელობის გააზრება და საგანგებო და საყოფაცხოვრებო სიტუაციებში შესაბამისად მოქმედება (მაგ.: ქუჩაში მოძრაობისას, ტრანსპორტში ყოფნისას, ექსკურსიაზე, ლაშქრობისას, ბუნებრივი კატასტროფებისას);</p>	<p>ბუნებრივი მოვლენები და მათგან თავდაცვა, საგანგებო სიტუაციები, ისტორიულ მხარე); პროფესია, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, ვაჭრობა, ტრანსპორტი და კომუნიკაციები.</p>
---	---

**რეკომენდაციები**

**საკლასო აქტივობები:**

- რუკის შესწორება, რომელზეც ობიექტები არასწორი პირობითი ნიშნებითაა გამოსახული;
- ფაზლების საშუალებით, რომლებიც საქართველოს მხარეებსა და მის მეზობელ ქვეყნებს წარმოადგენენ, საქართველოს ადმინისტრაციული რუკის აგება (ჯგუფური სამუშაო);
- დოკუმენტური ფილმის განხილვა საქართველოს დაცული ტერიტორიების შესახებ (დაცული ტერიტორიების სააგენტოს საიტი);

**დავალბები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:**

- „ასოციაციური რუკის“ დახატვა, რომელზეც 12 სამხარეო ერთეული ფოთლებიანი ყვავილის სახითაა წარმოდგენილი. ბუნებრივი რესურსების რუკის საშუალებით განსაზღვრა იმისა, თუ რომელი რესურსითაა მდიდარი საქარველოს ესა თუ ის მხარე;
- სხვადასხვა ფერის პლასტელინით სახლის გამოძერწვა, სადაც ცნება ეკონომიკა წითელ ფერთან იქნება გაიგივებული. იმის მიხედვით, თუ სახლის რომელი ნაწილი (საძირკველი, სახურავი, ფანჯარა) იქნება შეფერადებული წითლად, მოსწავლეები იმსჯელებენ, თუ რა როლი აქვს ეკონომიკას ქვეყნის განვითარებისთვის;
- გამოკითხვის ჩატარება მშობლებთან, ბებია-ბაბუებთან, უფროსი ასაკის ადამიანებთან იმის შესახებ, ახსოვთ თუ არა განსაკუთრებული მოვლენა რომელიმე ბუნებრივ მოვლენასთან მიმართებაში;
- ლოკალური გარემოსთვის დამახასიათებელი ფლორისა და ფაუნის T დიაგრამის შედგენა. მათი გავრცელების სავარაუდო მიზეზების მოკვლევა.

<p><b>3. სტანდარტის შედეგები (სამოქალაქო უნარები)</b></p>	<p><b>სასწავლო თემის სტანდარტის შედეგებთან დამაკავშირებელი კითხვები და საკვანძო ცნებები</b></p>
<p><b>საზ.მეც.დაწყ.(II).8.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს მისი, როგორც ბავშვის, გარკვეული უფლება-მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების გაცნობიერება; დადგენილი წესებისა და კანონების საფუძველზე თავისი უფლებების რეალიზება და სხვისი უფლებების დაცვა.</p> <p><b>საზ.მეც.დაწყ.(II).9.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს საზოგადოებისთვის აქტუალური პრობლემების/მოვლენების ამოცნობა და საკუთარი ჩართულობით მათ გამოსწორებაზე ზრუნვა;</p>	<p><b>შეკითხვები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• რა პრობლემები შეუძლია შეუქმნას ჩემს ქვეყანას ჩემი და ჩემი თანატოლების მხრიდან უპასუხისმგებლო ქმედებამ და მოვალეობების იგნორირებამ?</li> <li>• როგორ შევიტანოთ წვლილი ჩვენი ქვეყნის განვითარებაში არსებული გამოწვევების ფონზე (მაგ.: ცხოვრების ჯანსაღი წესი, განათლების ხელმისაწვდომობა, ქალთა და ბავშვთა დისკრიმინაცია,</li> </ul>



<p><b>საზ.მეც.დაწყ.(II).10.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს გააცნობიეროს ჯანსაღი ცხოვრების წესის (პირადი ჰიგიენის, ჯანსაღი კვების, ტრადიციული და ამჟამინდელი სპორტული აქტივობების) მნიშვნელობა და მისდიოს მას;</p> <p><b>საზ.მეც.დაწყ.(II).11.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს უსაფრთხოების წესების დაცვის მნიშვნელობის გააზრება და საგანგებო და საყოფაცხოვრებო სიტუაციებში შესაბამისად მოქმედება (მაგ.: ქუჩაში მოძრაობისას, ტრანსპორტში ყოფნისას, ექსკურსიაზე, ლაშქრობისას, ბუნებრივი კატასტროფებისას);</p> <p><b>საზ.მეც.დაწყ.(II).12.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს ღირებულებების (მაგ.: დემოკრატიის პრინციპების და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, შემწყნარებლობის, გარემოს დაცვის) მნიშვნელობის გააცნობიერება ინდივიდისა და საზოგადოების ნორმალური განვითარებისთვის;</p> <p><b>საზ.მეც.დაწყ.(II).15.</b> მოსწავლემ უნდა შეძლოს მის გარშემო წარმოდგენილი სოციალურ-კულტურული ინსტიტუტების (მაგ.: სკოლა, საკულტო (რელიგიური) ნაგებობები, კინო, კლუბი, მუზეუმი, სამედიცინო დაწესებულება, პოლიცია) ფუნქციების გააცნობიერება.</p>	<p>ძალადობის (ბავშვზე ძალადობა) პრობლემა, სახელმწიფო ენის არცოდნა)?</p> <ul style="list-style-type: none"> <li>როგორ ზრუნავს ძირითადი სახელმწიფო და სოციალურ-კულტურული ინსტიტუტები ჩვენი უფლებების დაცვასა და რეალიზებაზე (მაგ.: პარლამენტი, სასამართლო, სამინისტრო, უნივერსიტეტი (განათლების უფლება), ოპერის თეატრი, მუზეუმი)?</li> <li>როგორ ზრუნავს სახელმწიფო ჩვენს სამოქალაქო უსაფრთხოებაზე?</li> <li>როგორ მივაწვდინო ხმა ხელისუფლებას მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით ჩემს ხელთ არსებული საშუალებებით?</li> </ul> <p><b>ცნებები:</b></p> <p>საზოგადოება, პასუხისმგებლობა, ჯანსაღი ცხოვრების წესი; მოხალისეობა, მონაწილეობა, სამოქალაქო უსაფრთხოება, კანონი, კონფლიქტი, ეთნიკური, რელიგიური უმრავლესობა/უმცირესობა, დისკრიმინაცია (ჩაგვრა, ძალადობა); არჩევნები, სიმბოლიკა; ეთნიკური, კულტურული და რელიგიური მრავალფეროვნება, თანასწორობა; კულტურული მემკვიდრეობა, მუზეუმი (სახლმუზეუმი, მხარეთმცოდნეობითი მუზეუმი), ტრადიცია/ ინოვაცია, ფოლკლორი, დამწერლობა, ტრადიციული სპორტული სახეობები, ტრადიციული ყოფითი საქმიანობები.</p>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p>	
<p><b>საკლასო აქტივობების მაგალითები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>„გონებრივი იერიში“ თემაზე: რა უფლებები აქვს მოქალაქეს. შემდეგ კი განხილვა, თუ როგორ იცავს სახელმწიფო ამ უფლებებს;</li> <li>ვიზიტი რომელიმე საჯარო სტრუქტურაში (საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო, რეგიონული სახანძრო-სამაშველო სამსახურები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, იუსტიციის სახლი). მათი ფუნქციების გაცნობა;</li> <li>ჯგუფური დავალების სახით პეტიციის დაწერა ქვეყნისთვის აქტუალურ რომელიმე საკითხთან დაკავშირებით;</li> </ul>	
<p><b>დავალებების ნიმუშები დამოუკიდებელი მუშაობისთვის:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>თემის დაწერა: ჩემი და ჩემი თანატოლების მოვალეობები ქვეყნის წინაშე;</li> </ul>	

- მასალის მოგროვება სხვადასხვა ადამიანის მიერ სხვადასხვა დროს განხორციელებული სამოქალაქო აქტივობების შესახებ (ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, გარემოს დაცვა, ქველმოქმედება, მოხალისეობა);
- ქართველი სპორტსმენების ოლიმპიურ წარმატებებზე ინფორმაციის მოძიება და პრეზენტაცია;
- საკვანძო სიტყვების (მაგ.: პრობლემა, სახელმწიფო) გამოყენებით თემის დაწერა: რას გამოვასწორებდი ჩემს ქვეყანაში.

**შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები:**

- როლური თამაშის სახით დრამის დადგმა, რომელიც საქართველოს ისტორიის რომელიმე საკვანძო მოვლენას ეძღვნება;
- როლური თამაშის სახით დრამის დადგმა, რომელიც საქართველოსთვის აქტუალურ თანამედროვე სოციალურ პრობლემას ეძღვნება;
- საქართველოსთვის აქტუალური მარტივი სამოქალაქო პროექტების (ეკოლოგია, საგანგებო ვითარებები, ჯანსაღი ცხოვრება) განხორციელება;
- სკაიპის, ტელეფონის ან სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით საქართველოში მცხოვრები მათი თანატოლების პრობლემების შესწავლა, მათი განზოგადება და პრეზენტაცია;
- საქართველოს შესახებ საინფორმაციო-სარეკლამო ბუკლეტის / ვიდეორგოლის შექმნა;
- ექსკურსია საქართველოს რომელიმე მხარეში / მუზეუმში ქვეყნის მრავალფეროვნების შესასწავლად, შედეგების პრეზენტაცია.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №182/ნ - ვებგვერდი, 03.01.2017წ.*